

**რეზო**

**კლდიაშვილი**



# რეზო კლდიაშვილი



თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის  
ცენტრი

Modern Georgian Theatre Research Center

თბილისი  
2012

რედაქტორ-შემდგენელი  
თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი  
დიზაინერი დალი ჯვარშიშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე  
რეზო კლდიაშვილი  
გარეკანის ბოლო გვერდზე:  
რეზო კლდიაშვილი, „ზარატუსტრას ფამი“  
კითხულობს ავტორი

ფოტოები:

**იური მერიტოვი** – „საპონელა“, „იადონას თეატრი“,  
„მორაპნელი ქალბატონები“, „მანველიძეების ოჯახი“, „პი-  
ლონი“, „ზარატუსტრას ფამი“.

**გურამ წიბაჩაშვილი** – „მარტოობის ბინადარი“.

**გიორგი მამედოვი** – „ზარატუსტრას ფამი“.

© რეზო კლდიაშვილი/Rezo Kldiashvili  
© თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი  
© Modern Georgian Theatre Research Center

გამოცემა მომზადდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის  
„პოსტსაბჭოთა ქართული დრამატურგიის კვლევის“  
პროგრამის ფარგლებში.

2012.

ISBN 978-9941-0-4810-4

**რეზო კლდიაშვილი** – „მიზანი განაპირობებს ქცევას“ – ალფრედ ადლერი. მიზნისაკენ მიმავალ გზაზე ადამიანს, რომელიც არის ბიოსოციოფილოსოფიურ-კოსმიური სისტემა, სჭირდება ფრთები და ღმერთი მას ფრენის უნართაც აჯილდოვებს, რადგან წარმოსახვა, ფანტაზია, ინტუიცია, სწორედ რომ ფრთების ფუნქციას ასრულებენ. ისინი ეხმარებიან ჩვენს აზრებს, გასცდნენ ტრადიციულ ბილიკებს, წავიდნენ წინ და სხვებიც გაიყოლონ. სამყარო მთლიანია და ადამიანი კი მისი ნაწილი და, თუ შევეცდებით, სწორად ვიაროთ ბრძოლის ველზე, რომელსაც ცხოვრება, სიცოცხლე ჰქვია, კოსმოსი ბევრ სასიკეთოს შეგვაძლებინებს და დადებითი ფანტომებით დაგვაჯილდოვებს. წინააღმდეგ შემთხვევაში კოსმიური რისხვის უნდა გვეშინოდეს, რადგან მარადიულ მეხსიერებას – კოსმოსს, ყველაფერი ახსოვს.

„გახსოვდეს სიკვდილი და გადააფასე საქმენი შენი!“ – ეს გაფრთხილება ეკუთვნის ავსტრიული გენოფონდის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, დრამატურგ ჰუგო ფონ ჰოფმანსთალს, რომლის პიესის „იედერმანის“ მიხედვით შექმნილმა წარმოდგენამ მნიშვნელოვნად შეცვალა ავსტრიელთა ცნობიერება. განგებად ჰოფმანსთალს დავალება მისცა, თავისი ერისათვის დაეწერა პიესა მიძინებული სინდისის გამოსაღვიძებლად. მას უყვარს ადამიანი და მისი მოწოდება – „გახსოვდეს სიკვდილი და გადააფასე საქმენი შენი“ ჩვენი საზოგადოებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია დღეს. სწორედ დღევანდლობამ და დრომ მიკარნახა „ზარატუსტრას“ შევჭიდებოდი. მინდა შემოგთავაზოთ ერთ-ერთი მონოლოგი ჩემი პიესიდან „ზარატუსტრას ჟამი“, რომელიც შეიქმნა ფრიდრიხ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ და ინკოგნიტო ქართველი ავტორების (3+1) „მომავლის რჩეულის“ მიხედვით:

**ზარატუსტრა** – ჭეშმარიტების სხივმა გამინათა გონება ახლა, განთიადსა და განთიადს შორის. ზეკაცზე უთხრა ადამიანს – ეს იგივეა, რომ მაიმუნს ესაუბრო ადამიანზე. როგორ გაიგებს?! – არც მოგისმენს, გაერთობა თავის ბალანში ტილების ძებნით... ხომ ასეც მოხდა იქ, ქალაქის მოედანზე!? ამიტომაც, სულაც არ

მიკვირს, ყურებისაკენ ნასროლ-ნატყორცნ სიტყვების ბაღეს მხოლოდ და მხოლოდ მკვდარი რომ მოჰყვას... ზედადმიანი როგორია სულაც არ არის ეს მთავარი, ასე სწორედ!!! და ამიტომაც, ამიერიდან შევეცდები, სიბრძნის სიტყვები ადამიანის სულისაკენ მივმართო წრფელად, მკაცრად ვუძრახებ, თანაც პირში, ყველას, ვინც მიყვარს – ასე თუ გავყოფ სიმაღლის საცრით ცოცხლებს მკვდრებისგან! თანამგზავრს ეძებს ზარატუსტრა და არა – ცხედრებს, ჯოგის მწყემსობა მისი საქმე სულაც არაა. პირიქით ვიტყვი, უსახური ჯოგის ერთობას პიროვნება რომ გამოვსტაცო, სწორედ ამიტომ ვარ აქ მოსული. თანამგზავრთ ეძებს ზარატუსტრა! შემოქმედთ ეძებს, შემოქმედი, რომელიც ქმნის საუნჯეებს ახალ ფურცლებზე, ძნელი საქმეა! ალბათ ბევრი ბრძოლა მომიწევს, მრისხანება და ცელის ლესვაც. ჰოდა, მივდივარ! ჩემო პირველო თანამგზავრო, იძინე მშვიდად... დაე, ჩემმა ცხოველებმა მიჩვენონ გზა! ვთხოვ ჩემს სიამაყეს (არწივი), ჩემი სიბრძნის (გველი) თანმდევი იყოს. და, თუ ოდესმე ჩემი სიბრძნე მიმატოვებს, დაე ჩემმა სიამაყემ იფრინოს ჩემს შემლილობასთან.

**ლავა ჩხარტიშვილი** – კლდიაშვილები ქართულ მწერლობაში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან არიან ცნობილი. ეს გვარი გამოჩენისთანავე იპყრობს ჩვენს ლიტერატურას, დრამატურგიასა და თეატრს. დღევანდელი საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილია ამ გვარის პირველი წარმომადგენელი, დრამატურგი კონდრატე, შემდგომ-უბადლო დავითი, მისი ვაჟი, ქართული ნოველის ოსტატი-სერგო და ჩვენი თანამედროვე რეზო კლდიაშვილი.

რეზო კლდიაშვილი ქიმიკოსი, პროზაიკოსი, დრამატურგი. მეცნიერებათა დოქტორი ქიმიკოსი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და თბილისის სამედიცინო აკადემიის სრული პროფესორი. დაიბადა 1947 წლის 24 სექტემბერს ქუთაისში. 1992-1997 წლებში იყო აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის პრეზიდენტი, სადაც თავს იყრიდნენ სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის ყველა თაობის საუკეთესო წარმომადგენლები, პოლიტიკოსები. 1981 წლიდან რეზო კლდიაშვილის მოთხრობები იბეჭდება ჟურნალ „ცისკარსა“ და გაზეთ „ლიტერა-

ტურულ საქართველოში“. 1990 წელს გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა მისი მოთხრობების პირველი კრებული; 1998 წელს მეორე წიგნი – **„მეც ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ“**; 2002 წელს პიესების კრებული **„იაღონას თეატრი“**; 2005 წელს პიესა **„ზარატუსტრას ჟამი“** (ქართულ, გერმანულ და რუსულ ენებზე). რეზო კლდიაშვილი ავტორია პიესებისა: **„საპოუნელა“** (კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. რეჟ. მ. კუჭუხიძე 1995 წ.), **„იაღონას თეატრი“** (კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. რეჟ. გ. თოდაძე 1997 წ.), **„შორაპნელი ქალბატონები“** (შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. რეჟ. მ. კუჭუხიძე 1998 წ.), ორი ისტორიული პიესა: **„პატრონი“** (1998 წ.) და **„ბიზანტიის დედოფალი“** (1999წ.), **„როსტომ მანველიძე“** (თბილისის მუნიციპალური **„მეტეხის თეატრი“** რეჟ.ს. მრევლიშვილი 2001 წ.), **„მარტოობის ბინადარი“** /მონოპიესა/ (თეატრი „ვერიკო“ რეჟ. ნ. მჭედლიძე 2001 წ.), **„სუფრა“** (ქართულ-პოლანდიურ-გერმანული პროექტი. ამსტერდამი, ქ. ბერლინი. რეჟისორი და ქორეოგრაფი ფერი დე გეუს. 2003 წ.), **„ზარატუსტრას ჟამი“**/ავტორისეული წაკითხვა/ (თეატრი „ვერიკო“ 2004 წ.), **„პილონი“** (ფოთის ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი. რეჟ. ი. გოგია 2009 წ.), **„ზარატუსტრას ჟამი“** (შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრი. რეჟ. ი. გოგია 2009 წ.).

2000 წელს – მოთხრობების კრებულისათვის **„მეც ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ“** მიენიჭა **დავით კლდიაშვილის სახელობის პრემია** – პროზაში.

2002 წელს ლიტერატურის დარგში (დრამატურგია) პიესების კრებულისათვის **„იაღონას თეატრი“** მიენიჭა **საქართველოს სახელმწიფო პრემია**.

2009 წელს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრემია **„2008-2009 წწ. სეზონის საუკეთესო სპექტაკლისათვის“** მიენიჭა პიესის ავტორს, რეზო კლდიაშვილს, რეჟისორ ირაკლი გოგიას ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში განხორციელებული სპექტაკლისათვის **„ზარატუსტრას ჟამი“**.

**სამეცნიერო მოღვაწეობა:** გამოცემული აქვს ორი სახელმძღვანელო: „ბიოარაორგანული ქიმია“ (2010 წ.) და „ბიოორგანული ქიმია“ (2011 წ.) აგრეთვე – დამხმარე სახელმძღვანელოები და ლაბორატორიული სამუშაოები: „მცირე პრაქტიკუმი ორგანულ ქიმიაში“ (1991 წ.), „375 კითხვა-პასუხი ბიოარაორგანულ ქიმიაში“ (2008 წ.), „331 კითხვა-პასუხი ბიოორგანულ ქიმიაში“ (2009 წ.), „თანამედროვე ლაბორატორიულ აპარატურაზე მუშაობის წესები“ (2008 წ.). „პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები ზოგად და ბიოარაორგანულ ქიმიაში“ (2009 წ.). „წყალი და მისი ხასიათი“ (2011 წ.). მიღებული აქვს ორი საავტორო მოწმობა და არის სამოცდაცხრამეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი, ზოგიერთი მათგანი მოხსენებულ იქნა საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე (ბულგარეთი, პოლონეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, იაპონია, საქართველო). გამოცემული აქვს მონოგრაფიები: „ბუნებისმეტყველის მოგზაურობა ცნობიერების შეცვლის თვალსაწიერში“ (2007 წ.), „ბიოკოორდინაციულ ნაერთების შედგენილობა-აღნაგობა-თვისებები და მათი როლი არატრადიციული სამკურნალო საშუალებების, ბიოლოგიურად აქტიური დანამატებისა და კვების პროდუქტების შემუშავებაში (თანაავტორობით)“ (2009 წ.) და „ბიოაქტიურ კომპლექსნაერთები ახალ ტექნოლოგიებში“ (თანაავტორობით 2011 წ.) 2008 წლიდან არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის დეპარტამენტის სადისერტაციო საბჭოს წევრი. 2008 წლიდან სამეცნიერო ჟურნალ „ინტელექტის“ რედაქციის წევრია. 2009 წლიდან არჩეულია აშშ-ის მეცნიერთა საპატიო საზოგადოების „Sigma Xi“-ს ნამდვილ წევრად. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2010-2011 წწ. სამეცნიერო-თეორიულ და გამოყენებითი პროექტების კონკურსებში გამარჯვებული. 2011 წლიდან საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი. 2011 წლიდან არის პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის მრჩეველთა საბჭოს წევრი.



# დრამატურგია

## „საპოვნელა“

ბატონი რეზო კლდიაშვილი მოვიდა თეატრში და გამაცნო გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები, მიაშობო ჩაფიქრებული პიესის იდეა, მე მომეწონა ეს იდეა და მან დაწერა პიესა. „საპოვნელა“ „დაბრუნების, მუდმივი მოძრაობის“ იდეაზეა აგებული. „საპოვნელა“ ფაქტიურად არის „დარისპანის გასაჭირი“ - ოლონდ დღეს. ძველ ჩინელებს სულ 64 სიტუაცია ჰქონდათ აღნუსხული ადამიანების მოქმედებისათვის. ცხადია ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, ადამიანების გარკვეულ ჯგუფში იცვლება ნიუანსები, მაგრამ, რომ დაუკვირდეთ-შეაგული იგივე რჩება სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაშიც. „დარისპანის გასაჭირის“ ეპოქაში, დღესაც ჩვენთან (ე.წ. გარდამავალ ეპოქაში ანუ ანარქიის ზონაში), როცა ასპარეზზე ჯიქურ მოიწვევს ახალი სოციალური ფენა და ცდილობს დაიკავოს ადგილი, სამწუხაროდ, ვიღაცამ უნდა გაანთავისუფლოს ეს „მოედანი“, არადა, მომხვდურებმა „მდიდარ სუფრიდან“ უნდა გააძეონ დამხვდურები... ერთი სიტყვით, გადარჩევისა და გადარჩენის პროცესი მიმდინარეობს, სადაც „ძლიერი ჭამს სუსტს“ (როგორც ჯუნგლებში), და თუ საუკუნის წინ იყო „დარისპანის გასაჭირი“, ახალი საუკუნის ბოლოს შეიცვალა მხოლოდ სახელი დარისპანი, გასაჭირი ისეთივეა.



მათიკო -  
სოფიკო ჭიაურელი

ბატონი რეზო კლდიაშვილის, როგორც დრამატურგის მთავარი ღირსება ის არის, რომ გარედან არ უყურებს მოვლენას, იგი კაცთმოყვარეობით არის დაჯილდოვებული და იცავს მცნებას; „ნუ განსჯით განუკითხავად“. ჩვენი ავტორი პროფესიით ქიმიკოსია, ეს ფაქტიც განაპირობებს მის ალლოს (ამჯერად, როგორც



დრამატურგის), რომ ეპიზოდები, ქცევები, თითოეული ფრაზა შინაგანი აუცილებლობით იყოს გამოწვეული და არა ავტორის ნება-სურვილით. ბატონი რეზო პიესაზე მუშაობისას გავიცანი, მიხარია, რომ ის აღმოჩნდა არაჩვეულებრივად კეთილი, გულისხმიერი, ენერგიული, მშრომელი ადამიანი და ამავე დროს მოკრძალებული პიროვნება, თავდაუზოგავი კაცია და რაც მთავარია თავისი ენერგია მხოლოდ პირადი კეთილდღეობისათვის მოსაწყობად არა აქვს შემონახული, არ ენანება სხვებისთვისაც, სამწუხაროდ იშვიათია ჩვენს სინამდვილეში ასეთი ადამიანები. მე საერთოდ მიყვარს ახალბედა ავტორებთან მუშაობა. „საპოვნელა“ შეიძლება ითქვას, განსაკუთრებულ და წარმოუდგენელ პირობებში დავდგით. პირადად ჩემთვის მუშაობის პროცესი, რეპეტიციები იყო პროტესტის ფორმა, რომლითაც მე და მთელმა დამდგმელმა კოლექტივმა მთავრობისაგან თეატრების ფაქტიური განწირვის აქტს ვუპასუხეთ. ბედნიერი ვარ, რომ თბილისელმა მაყურებელმა უპრეცედენტო ენთუზიაზმით აღმოგვიჩინა თანადგომა. ახლა ქუთაისელების განაჩენს ველით.

**რეჟისორი მედეა კუჭუხიძე**  
**„იმერეთის მოამბე“. 1995**

სპექტაკლში მიმდინარე მოქმედებებს ბევრი საერთო აქვს ჩვენს ყოფასთან და დიდი საქმეა, რომ დღევანდლობაზე შეიქმნა სპექტაკლი და იგი დაიდგა... ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მაყურებელთა დარბაზმა დატოვა. ვუყურებდი გადაჭედულ დარბაზს და თეატრისადმი უზარმაზარ სიყვარულს ვხედავდი. ყველას სურდა, რომ სპექტაკლი კარგი გამოსულიყო. ეს იყო დღესასწაული და ეს არის მთავარი.

**რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი**  
**„ქართული ფილმი“. 1995**

რეზო კლდიაშვილის ორმოქმედებიანი კომედია „საპოვნელა“ ავტორის პირველი პიესაა. მასში ასახულია ბოლოდროინდელი ჩვენი ყოფა. არეულ-დარეული ცხოვრება ერთი ოჯახის ფონზე იკვეთება. რეზო კლდიაშვილმა შემოგვთავაზა ჩვენი დღევანდელი ცხოვრების სურათები, მოვლენათა და ადამიანთა ბედი. პიესის ძირითადი თემაა ის, რომ ღირსეულსა და მშვენიერს არ

უღიმის ბედი, რომ ადამიანები ილტვიან არა ამალღებულისა და ზნეკეთილისაკენ, არამედ იმისაკენ, რაც პრაქტიკულადაა გამოსადეგი. საშინელია ცხოვრებისადმი ამგვარი დამოკიდებულება, რადგან არც ერთსა და არც მეორეს ბედნიერებას ის ვერ მოუტანს - მშვენიერიც უბედურია და პრაგმატიკოსიც, რადგან არ არსებობს ბედნიერება მშვენიერი სულის გარეშე.

**თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე  
„ლიტერატურული საქართველო“. 1995**

დავესწარი სპექტაკლს „საპოვნელა“. ეს არის შესანიშნავი პიროვნების, მოქალაქისა და მოღვაწის რეზოკლდიაშვილის პირველი პიესა. მე მას ვიცნობ ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის პრეზიდენტად ყოფნის დროიდან. ძალიან გავიხარე, რომ მისი პირველი ნაბიჯი დიდად წარმატებული გამოდგა. შთაბეჭდილება ისეთია, რომ თვით ჩვენი ცხოვრება იწყებს ასახვას მხატვრულ სფეროში, თეატრის სცენაზე ამ ასახვას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს არის დრამა კომედიური ხერხებით, რეჟისორის მედია კუჭუხიძის და მსახიობთა ბრწყინვალე გააზრებით და შესრულებით. თეატრი დრმა მაღლიერების გრძნობით დავტოვე.

**საქართველოს პრეზიდენტი ელუარდ შევარდნაძე  
„საქართველოს რესპუბლიკა“. 1995**

მარჯანიშვილის თეატრის ახალმა დადგამმა „საპოვნელა“ მაყურებლის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. თეატრს მაყურებელი აწყდება, სპექტაკლი კამათს, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ბუნებრივია ისმება კითხვა — რა არის ამ პიესის, სპექტაკლის წარმატების მიზეზი? მაყურებელი ხედავს თავის ანარეკლს, მის უმიზნობას, სიცარიელეს, უფერულობას, საშინელ ყოფას, რომელიც ელემენტარულ მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებს. უშუქობას, უწყლობას, შიმშილს, პურის რიგებს, სიცივეს თან ერთვის გულგრილობა, გაუტანლობა. სცენაზე ჩვენი სინამდვილის სრული ასლია. ცხოვრება რომელიც აკვარიუმს მოგვაგონებს, სადაც ცივი თევზები მინის კედლებს აწყდებიან და გამოსავალს ვერ ხედავენ. ავტორი გვაიძულებს დავფიქრდეთ, სადაა გამოსავალი საზოგადოებისათვის, რომელიც ჩიხშია მოქცეული იმის გამო, რომ ძველი უარყო, ხოლო ახლის შენება ჯერ-



მაკა - ნინო კაკაბაძე,  
მათიკო - სოფიკო ჭიაურელი

ჯერობით ვერ შეძლო. „საპოვნელა“ მარჯანიშვილელთა დიდი გამარჯვებაა. მისი თავისებური, ხშირად ვოლენტიური გმირები ეძებენ თავიანთ ადგილს ცხოვრებაში, არ დაეძებენ მორალის კანონებს. თითქოს თვითონ ამბობენ – „ყველა ხერხით ეძიეთ და იპოვნით“ – ამ იმედით გამოდის სპექტაკლის შემდეგ დაფიქრებული მაყურებელი დარბაზიდან, რათა სცადოს სცენაზე ნანახ მახინჯ ცხოვრებას თავისი პოზიტიური მოქმედება დაუპირისპიროს.

*თეატრმცოდნე  
ნადია შალუტაშვილი  
„თეატრი და ცხოვრება“.  
1995*

В театре Марджанишвили прошла премьера спектакля „Саповнела“, поставленного по пьесе Резо Квдиашвили режиссером Медеей Кучухидзе с Софи́ко Чиаурели в главной роли.

...Несколько лет тому назад в довольно безмятежную пору, величаемую периодом застоя, в одном из интервью на вопрос, какая самая болезненная проблема, в частности, ее театра, Софи́ко ответила с горечью – потеря зрителя.

На „Саповнелу“ зритель пошел. Зал неизменно полон. Да, зритель изменился. Как и сама наша жизнь. Но зачем - то он идет в театр, выстаивая очередь в кассу за билетами за неделю, за две загодя, терпеливо ожидая перенесенный спектакль? Не ради же одного зубоскальства, не из одной же тяги к зрелищу, понятной для молодых людей. выращенных

нашей улицей, митингами. Понятно что такие зрители не впитывают спектакль, молча и отрешенно погрузившись в кресла. Хохот стоит гомерический. Даже хочется бросить сакраментальное гоголевское: над кем смеетесь, господа? Над собой смеетесь. Но в бурном, почти буффонадном спектакле как-то исподволь, незаметно смех приправляется грустью.

**Журналист Л. Чхеидзе**

**Грузия -Общественно политическая газета, 1995**

დღეს ყველას უჭირს, დანგრეულ, გაპარტახებულ საქართველოში შიმშილია. სწორედ ასეთ ვითარებაში ნამდვილი სენსაცია და გმირობა იყო მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივის მიერ რეზო კლდიაშვილის ორმოქმედებიანი პიესის „საპოვნელას“ დადგმა, რომლის რეჟისორიც გახლავთ მედეა კუჭუხიძე. დიახ, ნამდვილი გმირობაა გაყინულ თეატრში რეპეტიციების ჩატარება და შემდეგ ტრიუმფით პრემიერის ჩვენება. სპექტაკლის მსვლელობისას ორჯერ-სამჯერ ითიშება ელექტრო ენერგია და ზოგიერთი მსახიობის ხელში ირთვება ჩინური ფარნები. პიესაშიც ხომ თანამედროვე პრობლემებზეა საუბარი. „საპოვნელა“ მარჯანიშვილის თეატრის მეორე სუნთქვაა და ყოველთვის სრული ანშლანგია.

**ჟურნალისტი დათო სოსელია**  
**„მანსი“. 1995**

„საპოვნელა“ ის პირველი სპექტაკლია. რომელიც თბილისის ომის შემდეგ აღდგენილი თეატრების რეპერტუარში დამკვიდრდა. ამ პიესამ მარჯანიშვილის თეატრს დააკავშირა მონატრებული მაყურებელი, რადგანაც იმ დროისთვის „საპოვნელა“ უპასუხებდა იმ პრობლემებს, რომლებიც ჯერ არ ასახულიყო ლიტერატურაში-საზოგადოების დაპირისპირება, სოციალური გაჭივრება, ყოფითი სიდუხჭირე გაზავებული იუმორში მსუბუქად და იოლად აღიქმება.

**თეატრმცოდნე ლევან ხეთაგური**  
**„საქართველოს რესპუბლიკა“.**  
**„სახიობა“, 2002**

**რეზო კლდიაშვილი:** „საპოვნელას“ პრემიერის მეორე დღეს სუსხიანი 5 თებერვლი იდგა. მარჯანიშვილის თეატრთან უამრავი მაყურებელი შეკრებილიყო, შესანიშნავი საზოგადოება. სპექტაკლის დაწყების წინ სინათლე გაითიშა. იმდენად შეჩვეულები ვიყავით ამ უბედურებას და იმდენად ქრონიკულში იყო გადასული, მაგრამ... ერთი სიტყვით, ორი საათი და ოცი წუთი იდგა მაყურებელი თეატრთან ყინვაში და ფეხი არავის მოუცვლია. მსახიობები სრულ მზადყოფნაში იყვნენ, რა წუთში მოვიდოდა სინათლე, სპექტაკლიც დაიწყებოდა. უფრო მეტიც, სოფიკო გრიშით გამოვიდა და თხოვნით მიმართა მაყურებლებს დაშლილიყვნენ. ღიმილიანი უარი მიაგებეს. როგორც იქნა, სინათლე „დაგვიბრუნდა“. რა სიხარული განვიცადეთ, ძნელი გადმოსაცემია. გაყინულ დარბაზში შესულმა მაყურებელმა მსახიობების მიმართ თანადგომის ნიშნად სანთებელები დაანთეს, უდიდესი მოთმინება და ერთგულება გამოიჩინეს. ორი წლის შემდეგ კი ამავე სცენიდან ჩემი პიესის გმირი იადონა იტყვის – „დიდი ძალა აქვს თეატრს!“. არ შემძლია, არ დავეთანხმო...

# „იადონას თეატრი“



იყო დრო, როდესაც დიდი დრამატურგები უშუალოდ მსახიობებისათვის წერდნენ. ეს არ არის მანე ჩვევა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩეხოვი, ოსტროვსკი, მოლიერი, იბსენი თუ ჩვენი თანამედროვე ინგლისელი „გაბრაზებულები“ (ჯონ ობსონი თუ ჯონ არდენი) ამ კეთილი საქმით იყვნენ გატაცებულები. გასულ საუკუნეში ჩვენს თანამემამულეებს, აქვსენტი ცაგარელს და გიორგი ერისთავსაც გააჩნდათ გარკვეული

გამოცდილება საბენეფისო პიესების წერისა. ამაში არის გარკვეული ხიბლი და ფუნქციური სიხარული, გამოწვეული საყვარელი მსახიობის სცენაზე წარმოჩინებით. ახალგაზრდა მსახიობებს შესანიშნავი შანსი უჩნდებათ დაამტკიცონ თავიანთი შესაძლებლობები, კლასიკოსებს კი თავიანთი კლასი. როდესაც მარჯანიშვილის თეატრმა მაყურებელს მორიგი პრემიერა შესთავაზა (ორი წლის წინ „საპოვნელათი“ დრამატურგიაში ფენშედგმული ქიმიკოსის) რეზო კლდიაშვილის „იადონას თეატრი“, მაყურებელი სწორედ საბენეფისო განწყობაზე ალაპარაკდა. რამოდენიმე წარმოდგენის შემდეგ, როდესაც სპექტაკლი ვიხილე მომეჩვენა სოფიკო ჭიაურელი და გივი ბერიკაშვილი ახალგაზრდული ენერგიით შეუდგნენ სიჭარმაგეში გახარჯულ ენერგიას. პიესა არის გვირაბგადაღმა ცოლ-ქმარზე. მსახიობთა თამაში გარკვეულად ქმნის იმ საბენეფისო ატმოსფეროს, რაც გადმოცემულია პიესაში. დრამატურგი არც გვაგრძობინებს პრეტენზიას, რომ მისი ამბავი ზოგადსაკაცობრიოა და გვაცილებს ასე მოდურ ბიბლიურ განცდებს. თუმცა ირონიულად მოთქვამს როგორც რობერტ კენედის სიკვდილზე, ისე სტალინის გარდაცვალებაზე. პერსონაჟები მიმართავენ პაროდის ყველაზე გამოუვალ და მელოდრამატულ სიტუაციაშიც კი. პიესის ტექსტი გარკვეულწილად მიმართულია მაქსიმალურად გვიჩვენოს მსახიობთა შესაძლებლობები. რეზო კლდიაშვილის ორი მსახიობისათვის დაწერილი პიესა-ბენეფისი, რასაკვირველია ვერ აღწევს ზემოდხსენებული დრამატურგების დონეს, თუმცა უცვლელი გრძნობა და მსახიობებისადმი სიყვარული გამოისყიდის ყველა ნაკლს, რაც პიესას ახასიათებს.

**კრიტიკოსი დავით ბუხრიკიძე**  
**„7 დღე“. 1997**

„იადონას თეატრი“ რეზო კლდიაშვილის მეორე პიესაა. „საპოვნელას“ შემდგომ ქიმიკოსმა რეზო კლდიაშვილმა სახელი მოიხვეჭა უკვე როგორც დრამატურგმა და „ცრემლიანი კომედიის“ დიდოსტატის დავით კლდიაშვილის ღირსეული მემკვიდრის ტიტულიც დაიმსახურა. პიესის პერსონაჟები იადონა და ვანიჩკა – ეს არის ორი სულიერება, სათნოება, პოეზია, ორი არსება, რომელთაც თავდავიწყებით უყვართ თეატრი და ერთ-



მანეთი. „იადონას თეატრი“ – ეს არის ნოსტალგია იმ ფაქიზი სულის ადამიანებზე, იმ სიყვარულზე, რომელიც დღეს უკვე იშვიათობაა, მაგრამ ამ იშვიათობით კიდევ უფრო ძვირადღირებული და დაფასებული. შემთხვევით არ არის, რომ პიესის ფინალში ავტორი ვანიჩკას ზეცაში აიტაცებს და გადმოახედებს ქვეყნიერებას, და ვანიჩკა აღმოაჩენს, რომ ცხოვრება მართლაც საოცრად ჰკვანება თეატრს. კმაყოფილებით სულშემძრული, ცოლს ამაყად და ღირსების მთელი შეგრძნებით გადმოსძახებს: „ერთხელ ხომ მაინც გადმოვხედე ამ ქვეყანას ზევდიან“. „იადონას თეატრი“ არ არის „თეატრობანას“ თამაში, ეს მთელი ცხოვრებაა, სიხარულისა და ბედნიერების განცდით, რომელმაც მთავარ გმირს უნდა ათქმევინოს: „რა კარგია, რომ ყველანი ერთად ვართ“.

*თეატრმცოდნე ფიქრია ყუშიტაშვილი  
„იბერია ექსპრესი“. 1997*

Новый спектакль марджановцев – театр, представление, а жанр его – трагикомедия, где печаль соседствует с неожиданной улыбкой, смех же гасит набрежавшая слеза.

Так о чем же спектакль? Об истории любви двух, нашедших друг-друга, людей и пронесших её через всю жизнь, об их беззаветной любви к театру, жизнелюбии и любви к ближнему. Одним словом, это - спектакль о любви, с любовью поставленный и также с любовью донесённый до зрителей двумя его исполнителями. Фейверк актерского искусства – вот, пожалуй, наиболее верная характеристика совершаемого ими действия.

*Журналист Дали Цуладзе.  
«Вечерний Тбилиси». 1997*

რეზო კლდიაშვილის პიესა „იადონას თეატრი“ ორი მსახიობისათვის არი დაწერილი და გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ ნებისმიერი მსახიობი ინატრებდა ამ პიესაში თამაშს, რადგან ავტორს ისე აქვს დაწერილი, რომ მსახიობებს შეუძლიათ გამოავლინონ თავიანთი ნიჭი და შესაძლებლობები, აისრულონ აუხდენელი ოცნობები. პრემიერის დღეს მესხეთის სახელ-

მწიფო თეატრი თავისი დაარსების 120-ე წლისთავს და განახლების 30-ე წელს აღნიშნავდა. გადაჭედილი დარბაზი მუსიკის ფონზე გაირინდა, სცენის სიღრმიდან მოკრძალებული ნაბიჯებით მაყურებლისაკენ მიიწევს იადონა – ღია სულიაშვილი, მის მიერ წარმოთქმული – „ვღელავ... თავი სიზმარში მგონია, რაღაც ძალა არსებობს ამ ქვეყანაზე აუხდენელს რომ აუხდენს ადამიანს. რა კარგები ხართ რომ მობრძანდით... „ეს სიტყვები ისეთი გულწრფელობით და სითბოთია ნათქვამი, რომ ცდილობ არცერთი სიტყვა არ გამოგრჩეს იადონას მონოლოგიდან და დაემორჩილო ამ კეთილ ქალბატონს. რეჟისორმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა იქნებ სიმბოლურათაც კი გადაწყვიტა ფინალური სცენა, იადონა – ღია სულიაშვილი, ზურგზე მოგდებული ფარდით რომ მიიწევს წინ და ხელგამლილი უხმობს მშველელს, რათა ბოლომდე არ დაიხუროს თეატრის ფარდა, რათა გაგრძელდეს მარადიული გზა. ჩვენს წინაშეა გამარჯვებული სპექტაკლი, რომელმაც გვირგვინი დაადგა იადონას როლის შემსრულებელს ღია სულიაშვილს.

*მწერალი ეთერ ავსაჯანიშვილი  
„ლიტერატურული საქართველო“ 1997*



თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, რეზო კლდიაშვილი  
ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო  
დრამატური თეატრის სპექტაკლის „იადონას თეატრის“  
გასტროლები თბილისში

ქუთაისი ოდითგან კულტურული ტრადიციების მექა იყო, მათ შორის, თეატრალური ტრადიციების, ვისურ- ვებდი, ასევე დარჩეს მომავალშიც. ლალო მესხიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი „იადონას თეატრი“ სწორედ იმ განწყობას მიქმნის, რასაც გემრიელი ქუ- თაისი ჰქვია. აქ ჩნდება შესანიშნავი სცენური სახეები, აქ არტისტიცაა, განწყობაც, თეატრიც და ქუთაისიც.

**დრამატურგი თამაზ ჭილაძე  
ინტერვიუ ჩაწერილია მესხიშვილის თეატრის  
თბილისური გასტროლების დროს, 2001**

ჩვენს ქალაქში, ქუთაისში (როგორც იქნა) დაბ- რუნდა რეზო კლდიაშვილის ერთ-ერთი ნამუშევარი „იადონას თეატრი“. პიესა დრამატურგმა პირველად მარჯანიშვილის თეატრში მიიტანა და იადონამ საკმა- ოდ ხმაურით გაიჟღერა, როგორც ქუთაისელმა სცენის- მოყვარემ, რომელიც ბედმა ვინ იცის, სად არ ატარა და ბოლოს მაინც მის ქალაქ-ქუთაისს დაუბრუნა და საშუალება მოგვეცა ეს სპექტაკლი ჩვენს საყვარელ თეატრში გვეხილა. რეჟისორმა ნუგზარ ლორთქიფანი- ძემ ჩვენს თვალწინ შექმნა ორი იადონა, ერთი ისეთი როგორიც არის ასაკოვანი (ლამარა ვაშაკიძე) მეორე როგორიც იყო ახალგაზრდობაში (ინგა კაკილაშვილი) იმის გამო, რომ იადონას ქმარი ვანიჩკა შედარებით ად- რე აღესრულა ამ ქვეყნიდან, ორივე თაობის მეუღლეობა ერთმა მსახიობმა (გოჩა რაზმაძემ) ითავა. ამ სამკუთხე- დით რეჟისორმა საკმაოდ საინტერესო და ტევადი ვერ- სია შემოგვთავაზა და საბოლოოდ „იადონას თეატრი“ ზეიმაღ შედგა.

**ჟურნალისტი დათო ლიკლიკაძე  
„ქუთაისი“. 2001**

ხმა „იადონას თეატრს“ დგამენო სწრაფმავალი იყო. აზვავდა მოლოდინიც... საინტერესოაო — თქვა ვილა- ცამ. ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი კი მა- ინც ის იყო ქუთაისის მესხიშვილის თეატრის სცენაზე „იადონას თეატრი“ იდგმებოდა. ქუთაისს უბრუნდებო- და ორმოცდაათიანი წლების ქუთაისი (ბევრით კი არ განვსხვავდებით, მაგრამ მაინც...). „ჩაბარებაზე“ იმდენი ხალხი იყო, ზოგჯერ პრემიერაზეც რომ არ ყოფილა. როცა უყურებ რიგ სცენებს სპექტაკლიდან, მაყურებე-

ლის რეაქცია ბუნებრივია, ეს ხომ, მართლა ქუთაისია „თავისი მეზობლებით „დრამკრუჟოკით“, სადაქალოთი, დატირებებით. „იაღონას თეატრი“ გამოვიდა და იაღონა მშობლიურ ქალაქშიც დაბრუნდა. მერწმუნეთ ყვავილებიც და ტაშიც დამსახურებული იყო.

*ჟურნალისტი მაგდა ჩინიჯიშვილი  
„იმერეთის მოამბე“. 2001*



**ქუთაისის მესხიშვილის თეატრის სპექტაკლი  
„იაღონას თეატრი“ – პრემიერა, 2001**

იაღონა ჩემი თანამედროვეა, თითქოს ჩემს გვერდით ცხოვრობდა. მეც ბავშვობა საფიჩხიის დასაწყისში ვავატარე – თბილისის ქუჩაზე. ეს ქუჩა მანსენდება, ხალხი, მართლაც გამორჩეული და სანაქებო. ომის შემდეგ ცხოვრება ძალიან ჭირდა, მაგრამ ადამიანებს პეწი და ლამაზი სული შერჩენილი ჰქონდათ. ამ როლით მინდა ის ხალხი, ის ძველი ქუთაისლები მოვიგონო და პატივი მივაგო. მაშინდელი თეატრიც მანსენდება, მესხიერებაში ჩარჩენილი ძველი სურათები. ალბათ, რვა წლის იქნებოდა პატარა რეზიკო პირველად რომ ვნახე, მეგობარმა ციალა ცვარიანმა მომიყვანა სპექტაკლის შემდეგ და გამაცნო. ჩემს წინ იდგა ფართო, შავი თვალებით, თითქოს პატარა უფლისწული, ზღაპრული პრინცი. მისმა ყმაწვილობამ ჩემს თვალწინ გაიარა. არაჩვეულებრივი ოჯახის შვილია. ჰყავდა უსაზღვროდ კეთილი, ქველ-

მოქმედი ბეზია. ძალიან მიხარია სერიოზული მწერალი რომ გახდა. თუმცა, პროფესიით ქიმიკოსია. მისი პიესები სხვადასხვა თეატრებში დაიდგა და მე მისი პიესის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირი იაღონა ვარ.

**მსახიობი ლამარა ვაშაკიძე**  
**„ახალი ქუთაისი“ 2001**

თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრმა თანამედროვე ქართველი დრამატურგის რეზო კლდიაშვილის პიესით გაამდიდრა პატარა თეატრების ფესტივალი. პიესამ „იაღონას თეატრი“ საშუალება მისცა ორივე როლის შემსრილებელ მსახიობს გამოეველინა თავისი მსახიობური ტალანტი. ამ პიესაში შეხვდებით ეჭვიანობასა და შერიგებას, სიყვარულს ყოველდღიურ ცხოვრებაში და ისევ და ისევ დიდ გატაცებას თეატრით. ძველებრძნული სცენის მსგავსად მუსიკოსები ასრულებენ მოძღერალ გუნდის როლს. კეიბორდით, ვიოლინით, გიტარით და სიმღერებით უაღრესად მუსიკალურმა ქართველებმა შეძლეს ისეთი განწყობილების შექმნა, რომ სიმღერითა და ტაშისკერით აიყოლიეს ყველანი. იუმორით სავსე ტრაგიკომედიის გმირებმა ნამდვილი შოუ მოაწყვეს..

**სონია ცინვერი**  
**„ბადენის უახლოესი ცნობები“. 2002**

არ ბეზრდება მაყურებელს რეზო კლდიაშვილის „იაღონა“ ქართულ თეატრალურ სივრცეში. ძნელად იპოვით პიესას, საიდანაც ამდენი სითბო, კოლორიტი და სიყვარულის სისხამი იღვრებოდეს, ფაქიზი და სიკეთისათვის გასათუთებული ადამიანური ურთირთობებისათვის სიხალისე. დრამატურგისათვის დამახასიათებელი ლირიზმი ზუგდიდის თეატრის სცენაზეც ხელშესახები გამოდის და სპექტაკლი სადა დეკორაციებით და არტისტული სისადავით (როლებში: მზია ტოგონიძე, ზურაბ ლაშხია, გოგი გუგუჩია, ქეთი კოპალეიშვილი) იოლად აღწევს დარბაზის ნათელი მუხტით მოჯადოებას.

**მწერალი ზვიად კვარაცხელია**  
**„ქართული თეატრის დღე“. 2008**



სოფიკო ჭიაურელი და გივი ბერიკაშვილი

თბილისში ამბავი ჩამოვიდა: ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში „იადონას“ დგამენო. ისიც გავიგე, ვანიჩკას როლს ახალგაზრდა მსახიობი ასრულებსო, გამეხარდა, ჩემი ვანიჩკა მანდ, საფინჩიაზე ცხოვრობდა და თუ რამე არსებობს ამ ქვეყანაზე, ყველაზე უფრო დიდი მადლია მისი გაცოცხლება თქვენს თეატრში. ჩემო ნუგზარ, შენი მადლიანი ნიჭით დარწმუნებული ვარ, არაფერს დააკლებ ჩემს იადონას, მათ ხომ ძალიან უყვართ ერთმანეთი. ვანიჩკა, კარგად მიმიხედე იადონას, მით უმეტეს, რომ ქალბატონი ლამარა ჩემი თანაკურსელი და მეგობარია.

*მსახიობი გივი ბერიკაშვილი  
ვანიჩკას როლის პირველი შემსრულებელი  
„ახალი ქუთაისი“. 2001*

## „შორაპნელი ქალბატონები“



ელენე – მანანა გამცემლიძე, პუპლია – მედეა ჩახავა,  
ვალერია – ლეილა ძიგრაშვილი, ოლიკო – ზაზა ლებანიძე

რეზო კლდიაშვილის სევდიანი კომედია „შორაპნელი ქალბატონები“ იმდენად აქტუალურია, იმდენად დამახასიათებელია ყველაფერი, რაც სპექტაკლში ხდება ჩვენი დღევანდელი ყოფისათვის, რომ სცენაზე შეიძლება თქვენი ახლობელი ადამიანების პროტოტიპებიც კი შეიცნოთ. სპექტაკლი ქართულ სოფელზეა, რაც საკმაოდ დიდი ხანია არ ყოფილა სცენაზე. პიესაში ასახულია თითქმის ეთნოგრაფიულ იშვიათობად ქცეული მოვლენა, რომელიც სულ მალე აღარ იქნება როგორც ნატურალისტურად, ასევე მოქმედი პერსონაჟების სახითაც. რეზო კლდიაშვილის გმირები სრულებით არ არიან სასაცილოები, ისინი ზედმეტი ადამიანები არიან, რომლებმაც ვერანაირად ვერ აუღეს ალლო ახალ ცხოვრებას. ისინი, ვინც ტრადიციულ ზნეობრივ ფასეულობებს იცავდნენ, ზედმეტი აღმოჩნდნენ. ჩინელებს აქვთ ანდაზა – „არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ყველაზე მაღალი კომკიც კი დედამიწიდან იწყება“.

*რეჟისორი მედეა კუჭუხიძე  
„დრონი“. 1998*

„შორაპნელი ქალბატონები“ რეზო კლდიაშვილის მესამე პიესაა. ეს არის სევდიანი ელეგია გარდასულ დღეთა მშვენიერ ქალბატონებზე, მათ უცნაურობებზე, მათ აზრებზე, მათ პრობლემებზე და ურთიერობის ნი-



უანსებზე. „შორაპნელი ქალბატონები“ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში განახორციელა რეჟისორმა მედეა კუჭუხიძემ. სპექტაკლის მხატვარია მირიან მშველიძე, კომპოზიტორი – ბიძინა კვერნაძე.

სპექტაკლში თამაშობენ ჩვენი ცნობილი, მონატრებული მსახიობები: მედეა ჩახავა (პუპლია), ლეილა ძიგრაშვილი (ვალერია), ზაზა ლებანიძე (ოლიკო), მანანა გამცემლიძე (ელენე), გიორგი გეგეჭკორი (იონა), რომელთაც ახალი ფერები შემატეს თავის მდიდარ აქტიორულ პალიტრას.

**თეატრმცოდნე ნანა ღვინეფაძე  
„საქართველოს რესპუბლიკა“. 1998.**

ბატონი რეზო გავიცანი „შორაპნელი ქალბატონების“ რეპეტიციასზე, მანამდე პირადად არ ვიცნობდი, გაგებული მქონდა. პირველად რომ შემოვიდა, იმდენად ნაპერწკლებიანი თვალები ჰქონდა, ისეთი შინაურული თვალები დავინახე – ვაიმე დედა, მე ამ კაცს ვიცნობ მთელი ცხოვრობა-მეთქი – ვიფიქრე, მადლობა მინდა გითხრათ ჩემი ოლიკოსათვის, რაც თქვენ მაჩუქეთ, იმდენად საყვარლად დაწერილი სახეა. შეიძლება უკეთესადაც დაიდგას, უკეთესედაც ითამაშონ, მჯობნის მჯობნის რა დალევს საქართველოში, მაგრამ ეს იყო დიდი ბედნიერება და ამისთვის დიდ მადლობას ვეტყვი ბატონ რეზოს.

**მსახიობი ზაზა ლებანიძე, სატელევიზიო გადაცემიდან  
„რეზო კლდიაშვილი და მისი მეგობრები“**

რეზო კლდიაშვილის პიესა „შორაპნელი ქალბატონები“ ძალიან მომწონს. ჩემი აზრით, ეს პიესა იგივე ჩეხოვის „სამი დაა“, ოღონდ სრულიად სხვა გეოგრაფიული ადგილმდებარეობით. ის ტკივილი და სევდა ცხოვრებისა, რომელიც ამ პიესის ქალბატონებს აწუხებთ, ზოგადსაკაცობრიო საკითხებს მოიცავს და ამ მხრივ, ძალიან საინტერესოა. გარდა ამისა, ეს ქალბატონები სულიერად ძლიერნი და პრინციპულები არიან, რაც კიდევ უფრო აძლიერებს პიესის მნიშვნელობას.

**რეჟისორი გონა კაპანაძე  
„საქართველოს რესპუბლიკა“  
„სახიობა“. 2002**

ჩემმა მეუღლემ ბრძანა, რომ თავის დროზე გავყვეი რომანტიკოსი მწერლის როლის შემსრულებელს ნიკოლოზ ბარათაშვილს და შემჩნა: მგელი – „ჭინჭრაქადან“, მკვლელი, ტიგრან გულოიანი – „საბრალდებულო დასკვნიდან“, ალქაჯი – „მაკბეტიდან“ და საიქიოდან მოსული იონა რეზო კლდიაშვილის „შორაპნელი ქალბატონებიდან“. წარმატებას ვუსურვებ რეზოს, მოღვაწე კაცს.

**მსახიობი გოგი გეგეჭკორი  
ნაწყვეტი სატელევიზიო გადაცემიდან  
„რეზო კლდიაშვილი და მისი მეგობრები“**

რუსთაველის თეატრმა დრამატურგ რეზო კლდიაშვილის პიესის „შორაპნელი ქალბატონების“ დასადგმელად მედია კუჭუხიძე მიიწვია. მას წინ არაფერი დაუდგებოდა, ეს დადგმა საკუთარ თეატრში განეხორციელებინა. აღსანიშნავია ისიც, რომ რეზო კლდიაშვილის „დებიუტიც“ სწორედ მარჯანიშვილის თეატრში შედგა. ეს პიესა არის მშვენიერ ქალბატონებზე, მათ უცნაურობებზე, (მათ უკვე ღიმილისმომგვრელ აზრებზე) პრობლემებზე და მათი ურთიერთობების იმ ნიუანსებზე, რომელსაც დღეს უკვე



მედია კუჭუხიძე და რეზო კლდიაშვილი

ცოტა ვინმე თუ მაინც ამოიცნობს, რადგან ეს სამსაათიანი სპექტაკლი ხანდაზმულ მანდილოსნებს შეეხება. სპექტაკლში ხომ მედია ჩახავა, ლეილა ძიგრაშვილი, ზაზა ლებანიძე, გიორგი გეგეჭკორი, ნანული სარაჯიშვილი მონაწილეობენ. მათით მოხიბლული მაყურებელთა რიცხვი კი არც თუ მცირეა. ამის დასტურია მთელი მათი ბრწყინვალე შემოქმედებითი ბიოგრაფია. ამიტომაც, ყველა თაობის მსახიობს თავისი თაობის მაყურებელი ჰყავს, ასე რომ მაყურებელთა დარბაზიდან საკუთარი კერპების ხილვა კვლავ მათთან შეხვედრა, ახალგაზრდობა და სიჭაბუკესთან პაემანია. შორაპნელე ქალბატონებთან პაემანზე კი, ჯერჯერობით, ბევრნი დადიან.... ეცოცხლოთ დიდხანს და ევლოთ მათ თეატრში.

**ჟურნალისტი ლევან ლორთქიფანიძე  
„დილის გაზეთი“. 1999.**

## „მეც ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ“



ნალვლიანი, ფიქრიანი, ცხოვრების ღრმა აზრით აღსავსე, მშვენიერი პატარა მოთხრობები დაგვიწერა რეზო კლდიაშვილმა. ეს მოთხრობები – „გუცუნია“, „კენედის მკვლელობა“, „ბურღლუას ბიჭები“, „უნაგირას მთის ძირში“ – ბრწყინავენ იუმორით, გონებასახვილობით, ჭეშმარიტად ეროვნული ინტონაციებით, სურათოვნებით. რეზო კლდიაშვილი ახალი პროზის საიმედო ძალაა და მას ჩვენი მომთხონენი ყურადღება არ უნდა მოაკლდეს.

*მწერალი*

*რევაზ ჯაფარიძე  
„ცისკარი“. 1982*

რეზო კლდიაშვილი (ჟურ. „ცისკარი“ №10) ოთხი მოთხრობით არის წარმოდგენილი. „გუცუნია“, „კენედის მკვლელობა“, „ბურღლუას ბიჭები“ და „უნაგირას მთის ძირში“. ოთხივე მოთხრობა საინტერესოა ჩანაფიქრით და მიზნის სიცხადით. ამ ავტორს აქვს მხატვრული თხრობის ის ნიჭი, რასაც მწერლობას ვეძახით. ლექსიკის მარაგზეც სასაყვედურო არაფერი გვაქვს. კოლორიტს შთამბეჭდავად გადმოგვცემს, განსაკუთრებით „უნაგირას მთის ძირში“. დიალოგები ცოცხალი, გამართული და ლაკონიურია, კარგად გადმოგვცემს სათქმელს და ამით ჩვენც თანდათანობით, შეუმჩნევლად შევყავართ იმ სამყაროში, სადაც მისი მოქმედი გმირები არიან. ამ მოთხრობების ავტორი თუ ახალგაზრდაა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში კარგ შემოქმედთან გვექნება საქმე საამისო მონაცემები თვალნათლივ ჩანს.

*მწერალი კარლო კობერიძე  
„კომუნისტი“. 1982*

ნოვატორობად მივიჩნევ იმას, რომ მწერლის ნოველები და მოთხრობები თითქმის მთლიანად დიალოგი-თაა აგებული. ავტორი თავისი სიტყვით ან რემარკებით ძალიან იშვიათად ცდილობს ჩაერიოს თხრობაში. ეს შესაშური ხელოვნებაა და საკმაოდ ძნელად მისაღწევი. ავტორი წინასწარ არის განწყობილი, რომ სწორედ ჰუმანიზმი იქადაგოს. ეს არის ჩვენი გადამრჩენი, და ამ შემთხვევაში მე მის მხარეზე ვარ. როცა მოთხრობა „მოხუცებს“ ვკითხულობდი, სადაც ხანდაზმული, მართო დარჩენილი ქალები გოგონას შეჭხარიან და დაჰფოფინებენ, სულ მქონდა იმის შიში, რაიმე არ მოხდეს, ის კაცი ამ გოგონამ ასე დანდობილად რომ მოიყვანა, არ უღალატოს და ეს მოხუცები არ შემოიწუხოს-მეთქი. მაღლობელი ვარ, რომ ჩემი შიში არ გამართლდა. ჰუმანიზმი არის მალამო, რომელსაც ყოველთვის ეძებ.

**ფილოლოგი ზურაბ ჭუმბურიძე**  
**„ქართული უნივერსიტეტი“ 1999**

„მეც ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ“ ადამიანთა სულებში მოგზაურობაა (იმერეთსა და მთლიანად საქართველოში), სიყვარული და ტკივილი მათ გამო. თბილი და სევდიანი მოგზაურობა, რომელიც ყოველი ჩვენგანის ბავშვობიდან იწყება და უსასრულოდ გრძელდება. განსაკუთრებით კი ჩვენს გაუსაძლის ხანაში. რეზო კლდიაშვილის მოთხრობები იმ ფასეულობებს გვაპოვინებს, იმ გზაზე გვაყენებს, რომელიც სადღაც დაგვკარგავს ცხოვრების ორომტრიალთან ჭიდილში.

**ხელოვნებათმცოდნე ლელა ოჩიაური**  
**„რეზონანსი“. 1998**

რეზო კლდიაშვილის მოთხრობების კრებულის დასათაურება ეგზოტერიკის გამონათქვამიდანაა – რომ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ. მეც – ამბობს ავტორი და კიდევ ერთხელ გვიცნაურდება, რომ ჩვენ ყველანი ერთნი ვართ და ამიტომაც ვართ ცალ-ცალკე, ამიტომაც ვართ ყველანი და ამიტომაც ვართ თითოეულნი. და ზუსტად ჩვენი სიდიდისაა სამყაროც – არც მეტი, არც ნაკლები. ესაა რეზო კლდიაშვილის მოთხრობებიც – გადაუპრანჭავი, სუფთა, ნამდვილი, მშვენიერი სამყარო – ჩვენი რეალური ცხოვრება.

**ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა**  
**„ლიტერატურული საქართველო“ 1999**

ეს პატარა მოთხრობები თურმე იმ საკლასო ოთახში დაბადებულა, სადაც ჩვენმა ბავშვობამ ერთად გაიარა. რა იცოდა ბატონმა რეზო გაბრიაძემ, რომ სამოციან წლებში ჩვენი სკოლის საკლასო ოთახში დაფის უკან მშვენიერი სანახაობანი იმართებოდა. მართალია, ალფრედი და ვიოლეტა არ გაცოცხლებულა იქ, მაგრამ რეზო კლდიაშვილის მიერ საფიჩხიის ძველ მკვიდრთა სახეები არაჩვეულებრივი ოსტატობით იყო წარმოდგენილი. რეზო კლდიაშვილის თეატრი ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

**პედაგოგი ნუნუ ქათამაძე  
„იმერეთის მოამბე“. 2000**

განსაკუთრებით მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება ერთ ნოველაზე – „მოლოდინი“, რომელიც ომის თემაზეა დაწერილი და სიტყვა არ არის ნათქვამი ომზე, მაშასადამე, აქ გამორჩეულად ჩანს მწერლის ოსტატობა, რომ ილაპარაკო ამხელა ვეებერთელა გლობალურ ტრაგედიაზე და ერთხელაც არ იყოს ამ ტრაგედიის სახელი ნახსენები.

**მწერალი ზაალ სამადაშვილი  
სატელევიზიო გადაცემიდან  
„რეზო კლდიაშვილი და მისი მიმეგობრები“ 2003**

რეზო კლდიაშვილს ქუთაისში იცნობს ყველა, რადგან იგი ქუთაისიდან წასული ქუთაისელია, რომელსაც აქ უამრავი მეგობარი ელოდება. რეზო კლდიაშვილი... რეზო კლდიაშვილი და ამით ყველაფერი ნათელია. სწორედ მას, მოუწყვეს სიმონეთლებმა ლამაზი დღესასწაული 10 ივნისს ან პირიქით რეზო კლდიაშვილმა აჩუქა სიმონეთლებს ეს დღე დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმის ეზოში. სადაც უამრავი აქაური თუ ქუთაისიდან ჩასული სტუმარი მოჯადოებული შეცქეროდა თბილისის თეატრალური სტუდიის „ბერიკების“ აღსაზრდელების მიერ წარმოდგენილ ნოველებს „ჩეხო“, „კენედის მკვლელობა“, „სერგია“, „საფიჩხიელი პაგანინი“, „გუცუნია“, „ირინოლა“, „სერენადა“ და სხვა. „ნაცემი იმერეთის“ მუდმივი მონარკე, რომელიც როგორც ყველა თავისი ბავშვობიდან მოვიდა. საფიჩხიიდან, წყალწითელადან, სიმონეთიდან, მოგონებიდან, მონატრებიდან, აქედან, რაც დღემდე ყველაზე ძვირფასია.

**ჟურნალისტი მანანა ქურციკიძე  
„აზალი ქუთაისი“ 2000**

შეჩერებული წამების ფიქსაციაა რ. კლდიაშვილის წიგნი „მეც ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ“. იმდენად შთამბეჭდავი, ცოცხალი და ალაღია ეს წამი, ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს შენი ცხოვრების ნაწილი იყოს... აქ ვერ შევხვდებით პოზას, ნიღაბს, ყურით მოთრეულ ფაქტს თუ განცდას... ყველაფერი სისადავითა და უბრალოებით, შინაგანი სიმართლითა და სიწრფელითაა მოწოდებული. ძალზე საინტერესოდ და საყურადღებოდ გვეჩვენება საკუთრივ იმერული ყოფისთვის დამახასიათებელი დეტალების მოწოდების მიზნით მწერლის მიერ შერჩეული საკუთარი სახელები: ლენია, დუმიკო, გუგუმა, გუცუნია, ბურდლუა, იადონა, ფოფინე, პუპლია, ფაცურია... თითოეული მათგანი თითქოს რაღაც განწყობილებასაც ბადებს, რაღაც ასოციაციას გვიქმნის და პერსონაჟის ხასიათში გასაოცარი სისავსე შეაქვს. და კიდევ ერთი, რაგინდ სევდიანი ამბავი უნდა იყოს, რა ტკივილიც უნდა ახლდეს მონათხრობს, თქვენ მაინც არ მიგატოვებთ ღიმილი, ზოგჯერ გულუბრყვილობით და ზოგჯერ დახვეწილი იმერული იუმორით მოგვირეკილი. ჩვენი აზრით, რეზო კლდიაშვილის „მეც ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ“ ნოველების ერთიანობა უფროა, ვიდრე – მოთხრობებისა. უმჯობესია, აქ წარმოდგენილ ნაწარმოებთა ჟანრი „ნოველად“ განისაზღვროს. ჩვენს უსწორმასწორო და გაუტანელ წუთისოფელში რეზო კლდიაშვილის „მეც ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ“ მშვენიერთან, ამალღებულთან მიახლოებისა და ზიარების უტყუარი გარანტია.

**ფილოლოგი საბა მეტრეველი**  
**„ქართული უნივერსიტეტი“. 1999**

ბატონ რეზო კლდიაშვილის წიგნი სწორედ იმ ტრადიციის გაგრძელებით გამოირჩევა, რომელიც საუკუნის დასაწყისში, ალბათ ყველაზე უფრო დავით კლდიაშვილის და ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში აისახა. რეალობის იმპრესიონისტული აღქმა ემოციურ მუხტს ანიჭებს მის შემოქმედებას, მაგრამ რამდენად გამოხატავს ის თანამედროვე ადამიანის რთულ ბუნებას, მის ძალზე ღრმა ფსიქოლოგიურ წიაღს. ვფიქრობ, რომ ლიტერატურა უარყოფის ველში ვითარდება, რაიმე პოზიტიური ამ ველში უნდა დაიბადოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ რეალობას, რომელშიც იმყოფება

თანამედროვე ადამიანი, თუ გავისხენებთ გატლანქებულ სულებს – მწერლის მიბრუნება სითბოსკენ და სულიერი სიფაქიზისკენ, სწორედ ამით შეიძლება იყოს გამართლებული, გრძნობისმიერი აღქმა ადამიანისა და ადამიანური ურთიერთობებისა, სწორედ ამიტომაც იყო ფასეული XX საუკუნის ბოლო.

**ფილოლოგი ლანა კალანდია**  
**„ქართული უნივერსიტეტი“. 1999**

მოთხრობების კრებული „მეც ჩემი ბავშვობიდან მოვიდვარ“ დამადასტურებელია იმისა, რომ ტრადიციული მწერლობის გზა მკითხველებისთვის და მწერლებისთვის ძალიან ღრმად არის გათავისებული. იმდენად ღრმად, რომ ეს მათ თვითგამოხატვის ერთადერთ გზად რჩება. რეზო კლდიაშვილის მოთხრობებში განსაკუთრებულ ნოვატორობას ვერ ვხედავთ, მისთვის იმდენად ფასეულია ის ტრადიციული ლიტერატურული, პროზაული სამყარო, რომლის ფარგლებშიც ის მუშაობს, რომ შესაძლოა არ უჩნდება სურვილი ნოვატორული შეფასებებისა.

**ფილოლოგი ბელა წიფურია**  
**„ქართული უნივერსიტეტი“. 1999**

რეზო კლდიაშვილი ჩემს ცხოვრებაში ორი სპექტაკლით შემოვიდა: ეს იყო „საპოვნელა“ და „იადონას თეატრი“. შემდეგ ბატონ კოტეხა და ქალბატონ სოფიკოს ოჯახში გავიცანი. სულ მქონდა აკვიატებული, რომ არ შეიძლებოდა რეზოს არ ჰქონოდა მოთხრობები და, როგორც კი მომეცა საშუალება, გავეუთამამდი და ვკითხე – რეზო, მოთხრობები თუ გაქვს-მეთქი. მეორედღეს შევხვდით და გადმომცა კრებული. პარალელურად ვმუშაობ ბათუმის მემედ აბაშიძის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტში, იქ მიმყავს სამსახიობო ჯგუფები, თან ერთგვარად საინტერესო იქნებოდა, ბათუმელ სტუდენტების, მომავალი მსახიობების ზიარება ქართულ სიტყვასთან, ქართულ პროზასთან მომხდარიყო რეზოს სიტყვით, რეზოს მოთხრობებით. მართლაც, ეს მოთხრობები წავიდე ბათუმში, გავანაწილე იქაურ სტუდენტებთან და შედგა საღამო „კლდიაშვილიდან-კლდიაშვილამდე“. ეს იყო ერთგვარი გამოძახილი, მოგეხსენებათ,



მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დავით კლდიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ბათუმთან იყო დაკავშირებული. ძალიან საინტერესო საღამო შედგა. ახლაც რომ ჩავდივარ სამუშაოდ და ვხვდები სტუდენტებს, იმ გმირების ერთი მელაპარაკებიან – „გუცუნიას“, „იადონას“, „ჩეხოს“, „ბურდლუას ბიჭების“. ძალიან მიყვარს „საფიჩხიელი პაგანინი“. როცა ვხვდებით, თითოეულ მათგანს აქვს თავისი ფრაზა, რომელიც ჩვენს ურთიერთობებს რეფერენციით გასდევს.

***მანანა ითონიშვილი სატელევიზიო გადაცემიდან  
„რეზო კლდიაშვილი და მისი მეგობრები“ 2003***

კლუბ „სარდაფის“ მწერლური ფართის წარმომადგენლებმა ქარული დრამატურგიის ერთ-ერთი კარგად ცნობილი დრამატურგი რეზო კლდიაშვილი „წარადგინეს“ შეკრებილი პუბლიკის წინაშე, რასაც ავტორის ახალი პიესების კრებული – „იადონას თეატრის“ პრეზენტაციაც დაერთო. რეზო კლდიაშვილი სოფიკო ჭიაურელის და მისი თეატრის ნამდვილი ფავორიტიც კი გახლავთ. სამაგიეროდ, არც ბატონი რეზო ღალატობს ასეთ დაფასებას. მისი პიესების უმეტესობა სპეციალურად სწორედ ქალბატონ სოფიკოსათვის არის დაწერილი. ჭიაურელი კი ხშირად აცოცხლებს კლდიაშვილის გმირებს. პიესების ენა მარტივია, რითაც დრამატურგი ნამდვილად იგებს და ალბათ ეს ხიბლავთ ქართველ რეჟისორებსაც. კლდიაშვილის გმირების გამცოცხლებელი მსახიობების უმეტესობა ესწრებოდა კიდევ ბატონ რეზოს წიგნის პრეზენტაციას. სტუმრებისაგან დაფასებულმა ავტორმა, რომელმაც მწერლურ ასპარეზზე გამოსვლისას ჯერ პროზაიკოსის ამბლუა მოსინჯა და მხოლოდ შემდეგ გადაინაცვლა დრამატურგიაში, სიამონებით მიიღო მილოცვები და კომპლიმენტები. ეს კი უადგილო ნამდვილად არ იყო, რადგან მისი პიესების კრებული, ჯერ ერთი, ბევრი ცნობილ ნამუშევარს მოიცავს და მეორეც, კრებული პოლიგრაფიულად დასაფასებელი გახლავთ.

***ჟურნალისტი მაია ჯავახიშვილი  
„მთავარი გაზეთი“ 2002***

# სცენაზეა - ავტორი



საქართველოს  
საზოგადოებრივი  
ტელევიზია



1991 წლის 17 თებერვალი

**რეზო**

**კლდიაშვილი**

**საავტორო საღამო**

**„მადლობა თბილისს  
შუქრის გორიდან“**

თბილისი, 1991 წლის 17 თებერვალი

პროზასა და თეატრის  
— გავრცელების  
იყო დარგების რეზო  
კლდიაშვილის საღამოს  
ჩანაფიქრი, რომლის პერიოდში  
ანჯაფარიძის სახელობის პათო-  
მსახიობის თეატრში გაიხატა  
სათაურით „მადლობა თბილისს  
შუქრის გორიდან“.

სცენაზეა — ავტორი. მონოლოგის სახელით ბავშვობიდან დღემდე ასეთი იყო დრამატურგ რეზო კლდიაშვილის საღამოს ჩანაფიქრი, რომელიც ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრ-

ში გაიმართა სათაურით „მადლობა თბილისს ფიქრის გორიდან“. „მე კარგად ვიცი სად ვარ, რა პიროვნებები და ტრადიციები ახსოვს ამ კედლებს, ამიტომ ამ სიმბოლიდან მინდა ვუთხრა მადლობა თბილისს“ — ასე დაიწყო რეზო კლდიაშვილის საღამო, კაცისა, რომელმაც თექვსმეტი წლის ასაკში თბილისის კარი შემოაღო და დაიწყო შემოქმედებითი ცხოვრება ქიმიკოსობიდან მწერლობამდე. მისი პიესები კი მოგვიანებით თეატრის საკუთრება გახდა, რომელსაც მაყურებელი არ მოჰკლებია. რეზო კლდიაშვილის ცხოვრებამ განსაზღვრა იმ პიესების ბედი, რომელიც დღესაც წარმატებით იდგმება სხვადასხვა თეატრებში. რით გამოირჩევა რეზო კლდიაშვილის შემოქმედება? ალბათ იუმორით, და ყველა დროისთვის მნიშვნელოვანი მოვლენების მისი გვარისთვის ჩვეული ტრადიციების აღქმით. მას კარგად ახსოვს ის დრო, როცა სიმონეთში კლდიაშვილების მამულში სალონურ საღამოებს აწყობდნენ-მისი წინაპრების საგარძლით, წიგნი, პენსიით და უშაქრო ჩაით... და ალბათ ამიტომ, ფიქრის გორამ რეზო კლდიაშვილი საკუთარი ფიქრით, ფანტაზიით და შემოქმედებით ისე მიიღო, როგორც ყოველთვის ჩვევია. ინტიმური გარემო ვერ იტევდა თავად ავტორისაგან წამოსულ მუხტს, რომელიც მაყურებელს ხან მის ბავშვობაში ჩაახედებდა და ხან მის ცხოვრებასა და დრამატურგიაში. ავტორმა მსმენელს შესაძლებლობა მისცა კიდევ ერთხელ გაეცნო იგი ახალ ამპლუაში. ერთის მხრივ, თბილისისა და თბილისელებისადმი უსაზღვროდ მაღლიერი კაცი, მეორეს მხრივ, სცენაზე შეყვარებული ადამიანი, რომელიც მადლობას უხდოდა თბილისს საკუთარი შემოქმედების

აღიარებისათვის. და მაინც, ვინ არის რეზო კლდიაშვილი — ქიმიკოსი, რომელიც ლექციებს კითხულობს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელმაც დაამკვიდრა სალონური შესვედრები უნივერსიტეტში თუ დრამატურგი? „მე ხელოვნებაზე შეყვარებული კაცი ვარ და იმ ტაშისთვის ვცხოვრობ, რომელსაც ჩემი პიესები იღებენ“.

ღიას სალამო ნამდვილად შედგა. ეს ალბათ იყო ახალი ჟანრი, პირველი მცდელობა დრამატურგად დაბადებული კაცისა, რომელსაც მოუწია მადლობა ეთქვა მაყურებლისათვის ფიქრის გორიდან. გაუჩნდა სურვილი არ გაემიჯნა სცენა და მაყურებელი, სცენა და მთხრობელი და მონოაღსარება დაერქვა სალამოსათვის, რომელმაც თავისი ფუნქცია ნამდვილად შეასრულა.

მადლიერია ყველა ყოველთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ვიცით, სად ვართ, რას გვთავაზობენ, ვინ გვთავაზობს და როგორ უნდა მივიღოთ. აქ კი გადაჭარბებული მხოლოდ სიკეთე და სითბო იყო, სწორედ რომ გულწრფელი მადლობით ფიქრის გორიდან კლდიაშვილისეულმა თბილისმა ბოლომდე რომ შეისრუტა და დარჩა ისტორიად, თუნდაც ერთ ფურცლად, რომელზედაც წერია — „გავიღე ყველაფერი, რაც საჭირო იყო ბედნიერებისათვის. ირგვლივ იმდენი სილამაზეა, ყველას გვეყოფა აღქმისა და კომფორტისათვის, მთავარია აღვიქვათ, სწორად შევაფასოთ და აღიარება შევძლოთ.“

**ტელეჟურნალისტი მაია რამიშვილი  
ნაწყვეტი სატელევიზიო დილის გადაცემა  
„ალიონის“ სიუჟეტიდან, 1999**

დღეს, როცა პოზიტიური ინფორმაცია გვაკლია და გვაკლია სითბო, არა მარტო ფიზიკური, არამედ ურთიერთობებშიც დაგრილებულია ჩვენი ვნებები, მე მგონი ეს სალამო არის ერთ-ერთი შესანიშნავი და ლამაზი სალამო.

**დრამატურგი ლაშა თაბუკაშვილი  
ნაწყვეტი სატელევიზიო დილის  
გადაცემა „ალიონის“  
სიუჟეტიდან, 1999**



რეზო კლდიაშვილი,  
სოფიკო ჭიაურელი

ძალიან თავისებური მადლობა იყო ჩემთვის. ცრემლიც კი მომადგა იმდენად დიდი სურვილი ჰქონდა თქმისა, იმდენად დაგროვილი აქვს, იმდენად სავესეა მადლიერებით, იმდენად დიდი ენერგია აქვს ამ კაცს, ვერ დააოკა და გადმოაფრქვია, რაც დაროვებული ჰქონდა და ყველაფერი გვითხრა. საღამო ნამდვილად შედგა.

**მსახიობი სოფიკო ჭიაურელი  
ნაწევები სატელევიზიო დილის გადაცემა  
„ალიონის“ სიუჟეტიდან, 1999**

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ურთულეს დროს, პრობლემებით დატვირთულ დროს, ადამიანს უჩნდება სურვილი, მადლობა უთხრას თავის ბავშვობას, მშობლებს, ოჯახს, იმ შესანიშნავ ადამიანებს, რომელთა წრეშიც ის იზრდებოდა, მადლობა უთხრას თეატრს. ის გარემოც, რომელშიაც ახლა ჩვენ ვართ, შესანიშნავი მაგალითია იმისა, რომ უნდა არსებობდეს მადლიერება, უნდა არსებობდეს მოთხოვნილება ასეთი სულიერი კონტაქტისა, რომელიც შედგა დღეს მაყურებელსა და დრამატურგ რეზო კლდიაშვილს შორის.

**სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე  
ნაწევები სატელევიზიო დილის გადაცემა  
„ალიონის“ სიუჟეტიდან, 1999**

მე მგონი, ეს არ იყო ის საღამო, რომელიც აფიშაზე ეწერა „საავტორო“. ეს იყო ერთი მსახიობის თეატრი. რეზომ წარმოდგენა გამართა, რომელშიც ლიტერატურაც იყო მისი მონაყოლის სახით, იყო სანახაობა, იყო მუსიკა. მას უსაზრვროდ უყვარს თეატრი და დღეს მართლაც ბედნიერი იყო, იცით რითი? – სცენაზე რომ იდგა, კვდება ისე უნდა სცენაზე ყოფნა. ეს არის დიდი ნიშანი იმისა, რომ რეზო კლდიაშვილი დრამატურგად არის დაბადებული.

**თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე  
ნაწევები სატელევიზიო დილის გადაცემა  
„ალიონის“ სიუჟეტიდან, 1999**

**P.S.** გადის ათი წელი და ახალგაზრდა რეჟისორი ირაკლი გოგიას თავაზობს რეზო კლდიაშვილს მონაწილეობა მიიღოს თავისივე დაწერილ პიესაში „ზარატუსტრას ჟამი“. თეატრმცოდნის სიტყვები მართლდება – „კვდება ისე უნდა სცენაზე ყოფნა“.

## „მანველიძეების ოჯახი“

დავით კლდიაშვილის ესკიზის  
„როსტომ მანველიძის“ მიხედვით



როსტომი - თეიმურაზ ნაცვლიშვილი, მეუღლე მარიამი -  
თამარ მაყაშვილი. ქალიშვილები: ნათია ვარდოსანიძე,  
სოფიკო ბერიკაშვილი, ნინო ფილფანი

რეჟისორმა სანდრო მრეკლიშვილმა ოცდამეერთე საუკუნის დაწყება მეტად უჩვეულოდ აღნიშნა. მან საზოგადოება ახალი წლის პირველ დღეს „ძველ სახლში“ მიიწვია და ახალი ათასწლეულის პირველი პრემიერით „გაუმასპინძლდა“. როსტომ მანველიძის მდგომარეობა, მისი ოჯახის ყოფა სიმბოლურად წარმოადგენს ქართველი ერის სულიერი და ფიზიკური გაპარტახების სურათს. ის ასახავს ვითარებას, როდესაც თავისი უნიათობით, უმოქმედობით და უსუსურობით ადამიანებმა საკუთარი თავი და სამშობლოც დაღუპვის პირას მიიყვანეს. ახალმა დროებამ მათ კარგი არაფერი მოუტანათ, „ადამიანი ადამიანს მტრულად ხვდება...“ ისინი ხვალისდღელ დღეზე ოცნებობდნენ და იმედი აქვთ, მომავალი უკეთესი იქნება. ამ უკეთესობის მისაღწევად კი კვლავაც არაფერს აკეთებენ. ილუზიებს აქ ადგილი არა აქვს. და მაინც, არსებობს რაღაც რაც ჯერ კიდევ ასულდგმულებს როსტომს და მის ცოლ-შვილსაც. ეს რაღაც ცხოვრების შეცვლის სურვილია, მყარად რომ გაუდგამს ფესვები ადამიანების გულებში. სურვილი, თუნდაც საფლავიდან რომ ამოგამახებინებს, „რა კარგია

სიცოცხლეო, ვახ, რა ბედნიერი ვარ“. იმის ცოდნა, რომ ბედნიერება მოვა, ეს კანონია ბუნებისა და ვერავითარი ძალა მას ვერ შეცვლის.

**ხელოვნებათმოდნე ლელა ოჩიაური  
„რეზონანსი“ 2001**

„როსტომ მანველიძე“ დავით კლდიაშვილის ერთი პატარა მოთხრობაა (პრემიერა გაიმართა 2001 წლის 1 იანვარს თბილისის მუნიციპალურ თეატრში „ძველი სახლი“ რეჟ. სანდრო მრევლიშვილი) მასში იმდენი ტკივილი და დარდია ჩადებული სხვა რომ არაფერი დაეწერა კლდიაშვილს, მისი შემოქმედების შესაფასებლად ესეც კმაროდა. დავით კლდიაშვილის ესკიზი რეზო კლდიაშვილის ინტერპრეტაციით კომპლაციის საუკეთესო ნიმუშადაც შეიძლება ჩაითვალოს, უდავოდ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დროის ამ მონაკვეთში არა მხოლოდ წარსული გამოვიტიროთ, არამედ მომავალიც ვიწინასწარმეტყველოთ. კლასიკა, ალბათ, იმიტომ ფასობს ასე ძვირად, რომ იგი ყოველთვის თანამედროვეა. მეტეხის თეატრში წარმოდგენილი პიესა რეჟისორმა და დრამატურგმა დღევანდელობას კიდევ უფრო მიუსადაგეს და ყოველგვარი შელამაზების გარეშე შეგვახსენეს: დროება რომ არ შეცვლილიყო, კლასიკას მაინც მიუხანლოვდებოდით, მაგრამ ვერ კი წარმოვიდგენდით, რომ ყველაზე გულგატეხილები და ყველაფერზე გულდაწყვეტილები მაინცდამაინც ჩვენ ვიქნებოდით და ყველას და ყველაფერს ჯანდაბისკენ გზას დაუულოცავდით. სპექტაკლის სცენოგრაფია გამოირჩევა თვალშისაცემი სისადავით და სულ რამოდენიმე შტრიხით ხაზგასმული სიდუხჭირე სპექტაკლს ყალბი ექსპრესიულობისაგან ათავისუფლებს“.

**ჟურნალისტი სოფიო თოდუა  
„ახალი ეპოქა“, №9-10, 2001**

თითოეული ჩვენგანის ბედი, ჩვენი ქვეყნის ბედი ალბათ იკითხება როსტომ მანველიძის ბედში-ჩამოსაკლები, ჩამოსართმევი და ჩამოსათლელი აღარაფერი დაგვრჩა, როგორც ტექსტში იკითხება. ეს ყველაფერი გარკვეულ ასოციაციებს ბადებს, სევდას იწვევს. დღეს მოვლენების სხვაგვარი შეფასებაა საჭირო. ამ სპექტაკლს თავისი დანიშნულება და გამართლება ექნება.

**რეჟისორი სანდრო მრევლიშვილი  
ნაწყვეტი სატელევიზიო დილის გადაცემა  
„ალიონის“ სიუჟეტიდან, 2001**

მოხარული ვარ, რომ სანდრო მრეკლიშვილმა ამ ათასწლეულში პირველ ქართულ პრემიერად წარმოადგინა დავით კლდიაშვილის ესკიზი „როსტომ მანველიძე“. პიესის ავტორი გახლავთ რეზო კლდიაშვილი და უნდა აღინიშნოს, პიესა დაწერლია დიდი ტაქტით, და დიდი სიფაქიზით. სერგო კლდიაშვილი ოცნებობდა, „როსტომ მანველიძე“ სცენაზე რომ ეხილა.

**თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე  
ნაწყვეტი სატელევიზიო დილის გადაცემა  
„ალიონის“ სიუჟეტიდან, 2001**

გამოსავლის ძიებაში როსტომი თავად-აზნაურთა გვარების ბანკის დაარსებას აპირებს, წარჩინებული გვარები სარფიანად რომ გაიყიდოს და ამისათვის „რეჩის“ სათქმელად ემზადება საკრებულოში. „რეჩის“ რეპეტიცია, რომელიც ერთგვარად გოდოს მოლოდინს წააგავს. მანველიძეების ოჯახი შიმშილობს, უფულოებს და უმზითვოებს გათხოვების ძალზე მცირე შანსი აქვთ. „ქალიშვილობაში ბერდებიან“ მწერლის ეს სიტყვები რეზო კლდიაშვილმა უმართებულოდ მიიჩნია და ცემა-ტყეებით ერთმანეთში გართული გოგოები საყვარლის სახელებს წამოაძახებენ. ასე რომ „ქალიშვილობაში ბერდებიან“ პიესაში გესლიან ირონიად ჩაგვესმის და არა ტრაგიკულ ნოტად. ერთად-ერთი ვაჟის მოლოდინი, რომელიც მოთხრობაში მოლოდინად რჩება პიესაში დრამატურგმა დაასრულა – ვაჟმა სომეხი ქალი მოიყვანა ცოლად და ტერტერამ ჯვარიც დაწერა, აუწყეს როსტომს მწარე სიმართლე. რასაც როსტომი სიხარულით ხვდება რადგან მისი ვაჟი ჩასიძევდა, დაბინავდა. „ერთი საუკუნე გავიდა – ამბობს რეზო კლდიაშვილი და მაინც არაფერი შეცვლილა იგივე პრობლემები, იგივე სიდუხჭირე. იგივე სულიერი უუნარობა. ვის ვადანამაულებთ, ვინ არის დამნაშავე?“ და მართლაც როგორ ვიცხვოვროთ ლამაზად, შინაარსიანად, რათა საფლავიდან კი არ ამოგვძახონ მხოლოდ რა კარგია სიცოცხლე!

**თეატრმცოდნე ნინო მაჭავარიანი  
„თეატრი და ცხოვრება“ 2001**

ზესტაფონის თეატრმა 2010 წლის 28 სექტემბერს პიესის „მანველიძეების ოჯახი“ პრემიერა დავით კლდიაშვილის მშობლიურ სოფელში სიმონეთში მდებარე



მწერლის სახლ-მუზეუმში გამართა. რეპეტიციები მუზეუმის ეზოში ტარდებოდა. დეკორაციას ისტორიული გარემო და ხეხილით სავსე ეზო ცვლიდა. მოქმედება აივნებიდან ეზოში, სარდაფსა და კიბეებზე ინაცვლებდა და ერთი სოფლის ოჯახის ცხოვრებისეულ პერიპეტეებს წარმოსახავდა. დავით კლდიაშვილის 1910 წელს დაწერილი ესკიზი დრამატურგმა რეზო კლდიაშვილმა ერთმოქმედებიან პიესად აქცია და გმირთა სასაუბრო ტექსტის გაზრდით თითოეული პერსონაჟის ხასიათი უფრო გაამდიდრა თუმცა ავტორისეული კოლორიტი, ძირითადი ტექსტი და სათქმელი შეინარჩუნა. თავად დრამატურგის აზრით: „პარალელი გავავლე საკრებულოდან გამოგდებულ როსტომსა და პარლამენტის გარეთ დარჩენილ ამბიციურ პოლიტიკოსებს შორის, როსტომი წარსულში ცხოვრობს. რაც ქართველებს ზოგადად გვჭირს. თანაც როსტომს საკრებულოში დაბრუნების ამბიცია აქვს და „რეჩის“ სათქმელად გულმოდგინე მზადებაში ოჯახის წევრები მხედველობიდან გამორჩა. როსტომი თავის ილუზიების გამო პასიურია. ოჯახის წევრები გაჭვივრებას ვერ ეგუებიან და სახლიდან გაქცევით ცდილობენ თავის გადარჩენას. საერთოდ სახლიდან თუ ქვეყნიდან გაქცევის თემა დღევანდელ ყოფაში აქტუალურად მიმაჩნია, რამაც პიესის დაწერისაკენ მიბიძგა“. დავით კლდიაშვილის ესკიზს „როსტომ მანველიძე“ ჰქვია და მთელი ყურადღება მთავარ გმირზეა გადატანილი. რეზო კლდიაშვილი პიესას „მანველიძეების ოჯახს“ არქმევს, სადაც ოჯახის წევრთა ურთიერთობა უფრო ფართოდ განიხილება და მთლიანობაში ფოკუსირდება. აქ ვხედავთ ინდივიდუალურ პიროვნულ მისწრაფებებს, კონფლიქტურ სიტუაციებს დებს შორის, მათ დამოკიდებულებას მშობლებთან. უფრო ხაზგასმითაა ნაჩვენები ცოლ-ქმრის გაუცხოების ნიუანსები. ამ მიზნით რეზო კლდიაშვილს ახალი დიალოგების დაწერა მოუხდა დიდი დავით კლდიაშვილის ტრადიციების, სტილისა და ფორმის გათვალისწინებით, რამაც არ დაარღვია კლდიაშვილის სამყარო და გმირებიც ხელოვნურად გაუცხოებულები არ დარჩნენ, პირიქით, ორგანულად შეერწყნენ იმერულ გარემოს.

*თეატრმცოდნე გუბაზ მეგრელიძე  
„თეატრი და ცხოვრება“. 2011*



# „მარტოობის ბინადარი“

მონოპიესა



რესო კლდიაშვილი  
მარტოობის ბინადარი

ეკა-სოფიკო ჭიაურელი

წარმოდგენის ყურებისას საოცარი გრძნობა დამეუფ-  
ლა. არ მინდოდა, რომ სპექტაკლი დამთავრებულიყო.  
გენიალურია სოფიკო, მთლიანად სპექტაკლიც არაჩვე-  
ულებრივია, ძალიან ღრმა, ძალზე თანამედროვე. ამავე  
დროს, მასში რაღაც ქადაგებაც დავინახე, სულის ზე-  
იმიია. ამდენი განსაცდელის მიუხედავად, ადამიანი სუ-  
ლით არ უნდა დაეცეს. ჩვენც აუცილებლად უნდა გა-  
ვუძლოთ გაჭვივებას, ნათელი წინაა!

*სრულიად საქართველოს  
კათალიკოს-პატრიარქი ილია II  
ჩანაწერი შთაბეჭდილების წიგნიდან*



კათალიკოს-პატრიარქთან ერთად

სპექტაკლის გმირია ეკა ხანშიშესული ინტელიგენტი. XX საუკუნის საქართველოს ისტორიის უმძიმესი პერიოდები მისი ცხოვრების წლებიცაა. 1937 წელი რეპრესირებული მშობლები, შემდეგ სამამულო ომი, 1956 წლის 9 მარტისა და 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი მოვლენები, სამოქალაქო ომი, მტრობა, სიცრუე, ღალატი, დიდი სიყვარული და შვილის დაღუპვით შეწყვეტილი მოკლე ბედნიერება. ყოველივე ამან, წარსულში მხიარული, სიცოცხლის მოყვარული, იუმორით აღსავსე ქალბატონი მარტოობის ბინადრად აქცია. ეკა იმ ინტელიგენციის ჭეშმარიტი წარმომადგენელია, რომლის დამცირებას, შეურაცყოფას და განადგურებას მუდამ ცდილობდნენ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ ვერ მოახერხეს, რადგან სულიერი ძალისა და კეთილშობილების განადგურება შეუძლებელია.

**ბორჯომის III საერთაშორისო  
ფესტივალის „ხელოვნების ზეიმი“ პროგრამიდან,  
10 ივლისი, 2004**

სამწუხაროდ, რეზო კლდიაშვილის დრამატურგიას არ ვიცნობ, მაგრამ ვიცნობ მოთხრობების კრებულიდან „მეც ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ“, რომლებშიც მწერლის თვალს კაკაბაძისეული მოჩითული იმერეთის კოლორიტულ სამყაროში შევყავართ. აქ ყოველი ფრაზა იმერულ ალერსიან ინოტაციას (და ასეთს გურამ ასათიანი „დაყვავები კილოს“ უწოდებდა) სიფაქიზის, სიწრფელის და იმერული ლირიზმის სიმზურვალეს გაგრძობინებდათ. პიესა ამ კრებულში შესული ორი საოცრად ნატიფი მინიატურებიდან ამოიზარდა. ესენია: „საფიჩხიელი პაგანინი“ და „ნაცემი იმერეთი“. „მარტოობის ბინადარი“ ამ ორი ხაზის-სულიერების უკდავებისა და მის სოციალურ-პოლიტიკური ქარტეხილების სუსხში გატარების, გადაკვეთის მძაფრ წერტილზე გათვლილი მონოსპექტაკლია. რეზო კლდიაშვილის პიესის გმირი არ არის მხოლოდ ერთი პიროვნების ბიოგრაფიული მონახაზი. ეს არის საქართველოს საზოგადოების იმ საუკეთესო ფონდის განზოგადოების სახე, რომელიც სულიერებას განსაზღვრავს მაგრამ ყოველთვის ეწირებოდა და ეწირება ბოროტი ქარიშხალების მოვარდანას.

სოფიკომ ამ სპექტაკლში ისტორიული სიმართლე აიყვანა მხატვრული სიმართლის იმ სიმაღლემდე, რომლის იქით მაყურებელს აღარ ებადება კითხვა, ვის უყურებს: მსახიობ-დიდოსტატს თუ საკუთარ ცხოვრების გზას. ვინც ერთხელ მაინც ნახა ეს სპექტაკლი, ალბათ პათეტიკურ ნათქვამად არ ჩამითვლის თუ ვიტყვი, რომ სოფიკო ჭიაურელმა ამ სპექტაკლით, ამ სცენიური სახით თავისი თაობის ინტელიგენციას ძეგლი დაუდგა. პიესის ერთ-ერთ ეპიზოდში ეკას გათხოვებით შეწუხებული მამიდა ძმისწულს თავის თანამშრომელ მამაკაცთან ერთად ოპერის თეატრში უშვებს ვერდის „ტრავიატას“ სანახავად. მამაკაცი ერთობ დაძაბულია უცხო გარემოში ყოფნით და ვერდის ოპერის შინაარსით. ბოლოს თავს ვერ იკავებს და ეკას მიმართავს: „ეგ შენი ვიოლეტა – ბოზი ყოფილაო“ „მარტოობის ბინადარის“ ფინალი მელოდრამის წრიდან გამოჰყავს იმ კითხვას, რომელიც ბუნებრივია დღევანდელ პოლიტიზირებულ მაყურებელს წარმოდგენის დამთავრებისთანავე უჩნდება „ვის მოეკითხება ჭკუა იმ ცოდვებისათვის, ეკას სიცოცხლე რომ ჯოჯოხეთად უქცია?!“ პასუხი ერთია – იმ „გმირებს“ ვერდის „ტრავიატაში“ მხოლოდ ამგვარ რამეს რომ ხედავენ, მოდი და ასეთებს შეასმინე „გაუფრთხილდეთ ყოველ ადამიანში მოცარტს“?

***მუსიკათმცოდნე ნანა ქავთარაძე  
„რეზონანსი“. 2001***

სპექტაკლში „მარტოობის ბინადარი“ ყველაფერი მთავარი სათქმელის, ადამიანის მარტოობის ჩვენებას ემსახურება. ამ ხანდაზმული ინტელიგენტი ქალის მარტოობას კი მძაფრად განგვაცდევინებს ჩვენი დიდი მსახიობი სოფიკო ჭიაურელი. რეზო კლდიაშვილი საინტერესო დრამატურგია. მას აქვს დრამატურგისათვის აუცილებელი ყველა თვისება: საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ყოფითი მოვლენების დანახვის უნარი, სათქმელის დროზე თქმის ალლო, მდიდარი ლექსიკა და იუმორის გრძნობა, რომელიც ძირითადად ქუთაისითაა ნასაზრდოები. რეზო კლდიაშვილი არ ცდილობს, შეიჭრას მისთვის უცნობ ყოფით თუ ენობრივ სამყაროში. მან იცის, რაზე წეროს, იცნობს თავის პერსონაჟებს და მათ ბუნებრივ სამოქმედო ასპარეზს უქმნის. ეს უკანასკნელი პირობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: თუ

ტექსტი არაბუნებრივია და ყალბია, მას ვერც ერთი მსახიობი დამაჯერებლად ვერ ითამაშებს. დრამატურგი-ულად, რეჟისორულად და შესრულების თვალსაზრისით უზადლო მშრალ ხიდიდან შინ მობრუნებული ეკას სცენა მონოპიესა „მარტოობის ბინადარი“. მას საყვარელი ადამიანის ნაჩუქარი ფინჯანი წაუღია გასაყიდად მაგრამ ვეღარ გაუშეტებია, ახლა კი გატეხილი შერჩენია ხელში და თითქოს განცდის უნარიც დაუკარგავს. ვიოლინოს გასაყიდად გატანილი სცენა, ჩემი აზრით, ერთ-ერთი უძლიერესია ამ სპექტაკლში. თბილისელი ინტელიგენტი მანდილოსნისთვის თავის გადარჩენის ეს გზაც დახშულია.

**გერმანისტი დალი ფანჯიკიძე**  
**„24 საათი“. 2005**

სოფიკო ჭიაურელი ბედს ვერ დაემდურება: თავის მშობლიურ მარჯანიშვილის თეატრში დრო და დრო მაინც თამაშობს, აქვს ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო“ და შეიძლება ითქვას, რომ ჰყავს თავისი დრამატურგიც რეზო კლდიაშვილი. მის პიესებში („საპოვნელა“ და „იადონას თეატრი“) განსახიერებულმა როლებმა მსახიობს რუსთაველის პრემია მოუტანა - მართალია მთელი შემოქმედების გათვალისწინებით, მაგრამ საბაბად მაინც ისინი იქცნენ. მისგან არაერთხელ მოგვისმენია ერთი მსახიობის პატარა სცენამ დიდი შემოქმედებითი სიხარულები განაცდევინა. ასეთ სიხარულს ამ დღეებშიც განიცდის – რეზო კლდიაშვილის ახალ მონოპიესაში „მარტოობის ბინადარი“. დრამატურგს, ნამდვილად ვერ დაუკარგავთ ის პირველად შეეხო უმსგავსობას და მნიშვნელოვანია რომ ის სცენიდან ითქვა. დრამატურგს ვერც იმას დაუკარგავთ, რომ ის არსებითად, ხელშეუხებ თემას შეეხო: მრავლად გვინახავს სცენური ნაწარმოებები იმაზე, თუ რა ტრაგიკული დალი დაასვა ჩვენს საზოგადოებას 37-მა თუ მეორე მსოფლიო ომმა, თითქმის არავის უცდია იმის ჩვენება, თუ რამდენი ადამიანის პიროვნული დრამა უკავშირდება ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიპეტიებს. და მაინც, დრამატურგი არ შემცდარა, როცა ეს უძძიმესი ტვირთი სოფიკო ჭიაურელის ნიჭსა და ოსტატობას მიანდო. პატარა სცენის უკიდურესად შეზღუდულ სივრცეში, მსახიობის მდიდარი პალიტრის ყველა ფერი გამოანა-

თებს, ზოგჯერ ტრაგედიის მწვერვალზეც კი ავიყვანს. აქ აშკარად იგრძნობა დამდგმელი რეჟისორის ქალბატონ ნანა მჭედლიძეს ხელიც იგრძნობა ზომიერად გამოყენებულ კინემატოგრაფიულ ხერხებშიც და თვითონ ამბავთა და განცდათა ლოგიკურ და დამაჯერებელ გადმოცემაშიც, მათს ფსიქოლოგიურ მოტივაციაში.

**ჟურნალისტი სოსო ჭუმბურიძე  
„თბილისი“. 2001**

წარმატება აქვს „მარტოობის ბინადარს“, რადგან ის შეეხო იდუმალს, აღძრა ასოციაციები ჩვენ საკუთარ ცხოვრებასთან, დაგვაფიქრა მასზე და ავგაღელვა, რადგან ჩვენ სინდისსაც შეეხო და მოგვთხოვა ჩვენც გავცეთ პასუხი იმ კითხვებს, თეატრმა რომ დააყენა. ამ დროს ეს პატარა თეატრი გვახვედრებს მრავალ ჭირგადახდილ, დღესაც უაღრესად შეჭირვებულ ადამიანს, რომელიც უმძიმესმა ცხოვრებამ ვერ გააბოროტა, რადგან სული აქვს ძლიერი და ზნეობა მაღალი. ამ პატარა თეატრის წარმოდგენამ ისიც დაგვანხა, რომ ერთი საათის განმავლობაში მას ეკუთვნოდა სხვადასხვა ასაკის მაყურებელი, რომელიც დასასრულს ამ სპექტაკლის ხელახალი ნახვის სურვილს გამოთქვამდა. ეს ყოველივე იმის მაუწყებელია, რომ ადამიანებს მოენატრათ ის, რაც დღეს მოედინება მათკენ სცენიდან. ეს კი მაშინ ხდება, როცა მხატვრული ქმნილება თანადროულია. „მარტოობის ბინადარი“ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის საქართველოს ერთ პატარა თეატრში დაიბადა იმ დროს, როდესაც მის კედლებს მიღმა გაჭივრებაა, დაღატი, უნდობლობა, კაცთა კვლა, უიმედობა, უზნეობა, უხამსობა, ყველა აკრძალვისაგან თავისუფლება, ფულის კერპი, ფსევდოკულტურა-ყოველივე, რაც ანადგურებს ადამიანში პიროვნებას ანუ სული ვერ მართავს ადამიანს. სანახაობად ქცეული რეზო კლდიაშვილის პიესა გასცდა ერთი ადამიანის მარტოობის თემას და თავისებურ პროტესტად ჟღერს, ებრძვის გარემოს, რომლის წიაღშიც დაიბადა. წარსულზე მთხრობელი, დღევანდელობას გვაგრძნობინებს, მისადმი ხელოვანთა დამოკიდებულებასაც და მხატვრული ქმნილებით იბრძვის ზნეობრივი ამალგებისაკენ.

**თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე  
„ლიტერატურული საქართველო“. 2001**

По форме „Обитель одиночества“, – это моно-спектакль. Через жизнь главной героини проходит судьба целых поколений грузинской интеллигенции. Автор рассматривает человека в рамках явлений и событий, участником или очевидцем которых он является. Эта пьеса – крик исстрадавшейся души, одинокий голос женщины. И не только, Это – история раздавленной, униженной, оскорблённой, побитой и всё-таки непобежденной грузинской интеллигенции, не псевдо, а истинной интеллигенции с ее даром всепрощения и непротивления злу насилием.

**Элеонора Абашидзе, Медея Абашидзе**  
**„Свободная Грузия“, 2002.**

სპექტაკლი „მარტოობის ბინადარი“ ანშლაგებით მიდის. ჩვენ გავესაუბრეთ სპექტაკლის შემქმნელებს და სოფიკო ჭიაურელის თამაშით აღფრთოვანებულ მყუერებლებს, რომელთა უმრავლესობას ქართული მეცნიერების ელიტას წარმოადგენდა.

**ჟურნალისტი ეკა მძინარაძე**  
**„ქართული უნივერსიტეტი“, 2002**

**ნანა მჭედლიძე, რეჟისორი:** თეატრში ეს ჩემი პირველი ნამუშევარია. შემოქმედებითი თეატრი, სპექტაკლზე, სცენაზე მუშაობა ჩემი სიცოცხლის ნაწილია. სოფიკოს პირველად შევხვდი 36 წლის წინათ ფილმზე „ვიდაცას ავტობუსზე აგვიანდება“ მუშაობისას. ჩვენ ისევ ავლმოვჩნდით ერთმანეთის გვერდით. საერთოდ არაჩვეულებრივი შემომედებითი ჯგუფი იყო. თემა, რომელსაც რეზო კლდიაშვილი გვთავაზობს, მეტად მნიშვნელოვანია: ინტელიგენტი ქალის ბედი, შესაძლოა, სპექტაკლის ფინალი პესიმისტურია, მაგრამ პესიმიზმი არ ნიშნავს ანტიმხატვრულობას. სხვათაშორის, ჩარლს ბაირონიც პესიმისტი იყო.

**რეზო კლდიაშვილი, დრამატურგი:** სპექტაკლის გმირი ეკა მუსიკოსია, სიყვარულში, ადამიანურ ურთიერთობებში სუფთა და ღირსეული. ასეთი კატეგორიის ადამიანების ცხოვრებისგან გათელვა და დაჩაგვრა ჩემი ტკივილია. ფინალურ სცენაში ეკას გაწვდილი ხელი არის ჩემი პროტესტის გამოხატულება იმ უბედურების



მიმართ, რაც გვჭირს. სოფიკო ჭიაურელი ვარსკვლავია და მისთვის საგანგებოდ უნდა იწერებოდეს პიესები, რასაც დიდი გატაცებით ვაკეთებ და მონოპიესაც „მარტონობის ბინადარი“ სპეციალურად სოფიკოსთვის დაიწერა.

**ია საკანდელიძე, მუსიკალური გამფორმებელი:** ამ თეატრში ეს უკვე ჩემი მესამე სპექტაკლია. მუშაობისას კარგად ვუსმენდი მსახიობს და ვცდილობდი ამომეცნო ის, თუ რა სჭირდებოდა მონოპიესის გმირს სოფიკო ჭიაურელს. თავდაპირველად გაუჭირდათ ჩემი მუსიკის მიღება, მაგრამ მერე, თანდათან, ყველაფერი გაირკვა, დალაგდა და მუსიკამაც იპოვა თავისი ადგილი.

**ალბერტ თავხელიძე, აკადემიკოსი:** ჩვენს საზოგადოებას აკლია ინდივიდუალობა, ამ სპექტაკლშიც, სოფიკო ჭიაურელის არაჩვეულებრივი შესრულებით, რეზო კლდიაშვილმა სწორედ ამ ურთულეს პრობლემაზე ჩავვაფიქრა.

**კოტე წერეთელი, აკადემიკოსი:** უღარესად საინტერესო სპექტაკლია არა მარტო შინაარსით, არამედ თავისი ფორმით. ერთი საათის განმავლობაში ჩვენს თვალწინ ცოცხლდება XX საუკუნის ის ეტაპები, რომლებმაც ჩემს თვალწინ ჩაიარა. სპექტაკლში ყველაფერი იკითხება. საინტერესოა დრამატურგია. რეზო კლიდაშვილი ტექსტის საფუძველზე სოფიკო ჭიაურელი შთამბეჭდავად გადმოგვცემს თავისი გმირის განცდებს. ეს განსაზღვრავს სპექტაკლის შთამბეჭდაობას. სოფიკო ჭიაურელის შესრულება არის „თამაში“, რომელსაც აქვს საოცარი დატვირთვა.

**ვანო კილურაძე, აკადემიკოსი:** სპექტაკლის ავტორებმა საოცარი ძალით წარმოაჩინეს ჩვენი ეროვნული უბედურება. დაგვანახეს, რომ სამოცდაათიან წლებში ბოთლიდან ამოსული ჯინი დღესაც დათარეშობს საქართველოში და წარმატებით ახორციელებს ჩვენი საზოგადოების გარდაქმნას. მთელი სპექტაკლის მანძილზე, არ მტოვებდა იმის შეგრძნება, რომ თუ არ ვისწავლეთ მწარე სინამდვილისადმი თვალის გასწორება და ბოროტებასთან აქტიური ბრძოლა, მალე საქართველოში კეთილშობილი ადამიანისთვის ადგილი აღარ დარჩება. უსაზღვროდ მადლიერი ვარ, რომ ასეთი შესანიშნავი გაკვეთილი ჩამიტარეთ.

**სესილი გოვიბერიძე, კულტურის მინისტრი:** დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. ეს არის სოციალური ყლფ-



რადობის სპექტაკლი, ერთი თაობის ტრაგედია. მასში წარმოდგენილი თემები ჩვენი საზოგადოებისთვის ძალზე მტკივნეულია. ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით სოფიკო ჭიაურელის მაღალ პროფესიონალიზმში. რეზო კლიდაშვილმა კი თანამედროვე ქართულ დრამატურგიაში თავისი ადგილი დაიკავა.

**როინ მეტრეველი, აკადემიკოსი:** ბრწყინვალე სპექტაკლი იყო, რომელშიც ნაჩვენებია გარდატეხის პერიოდი XX საუკუნის საქართველოში, ერთი ეული და მარტოხელა ქალბატონის თვალთ, რომელსაც არც ინტიმი აკლია და არც ადამიანობა. აღფრთოვანებული ვარ სოფიკო ჭიაურელის ოსტატობით.

**ანდრია ფაქიძე, აკადემიკოსი:** განმაცვიფრებელი წარმოდგენაა. ვერასოდეს დავივიწყებ იმ სიყვარულს, იმ ფაქიზ ურთიერთობებს, რასაც ეკა ამჟღავნებს თავისი მამიდის მიმართ. იმ დიდი პრობლემების გვერდით, რაც დრამატურგმა შემოგვთავაზა, ეს საკითხი არის განსაკუთრებით საინტერესო.

**რისმაგ გორღეზიანი, აკადემიკოსი:** ეს სპექტაკლი განსაკუთრებით ამაღელვებელია ჩემი თაობის ადამიანებისთვის. მისი ფინალი არის კონსტატაცია დღევანდლობისა და კითხვა იმაზე – რა იქნება ხვალ?! სოფიკო ჭიაურელმა იცხოვრა ეკას ცხოვრებით, გააცოცხლა ჩვენი თაობა ისეთ დონეზე, რომ ეს სპექტაკლი გულგრილს არავის დატოვებს. სპექტაკლი ნებისმიერ ადამიანს აყენებს ამაღლებულ ადგილას და ეხმარება იმაში, რომ ერთმანეთისკენ სავალი გზები მოძებნონ.

**მარიამ ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი:** ეს სპექტაკლი ძალიან კარგად საუბრობს იმაზე, რისი თქმაც უნდა რეზო კლიდაშვილს. ეს არის ჩვენი ცხოვრების დრამა, რომელიც წარმოგვიდგენს ჩემი თაობის ტკივილს. სპექტაკლის ფინალში ვხედავ დიდ ოპტიმიზმს, ისე არ უნდა მოხდეს, რომ ადამიანი, საერთოდ, და, მით უფრო, ინტელიგენტი უნდა ცხოვრებისგან გაიწიროს.

**ნანი ბრეგვაძე, მომღერალი:** სოფიკო ჩემთვის ყველაფრის იდეალია. მისი ყოველი ახალი სპექტაკლის შემდეგ ვრწმუნდები: სოფიკოსთვის სპეციალურად უნდა იწერებოდეს პიესები და სცენარები. ამ ქალის შინაგანი ძალა, ენერჯია და ნიჭი სრულად უნდა იყოს რეალიზებული.

**მელა აბაშიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი:** ეს სპექტაკლი გვახსენებს ტენეს უილიამსის მარტობის და ინტელიგენციის თემას და ეს შესანიშნავადაა დამუშავებული რეზო კლდიაშვილის და ბრწყინვალედ განსახიერებული სოფიკო ჭიაურელის მიერ.

**რამაზ ხუროძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი:** ამ სპექტაკლში არის ბევრი სოციალური კოლიზია. აღფრთოვანებული ვარ ქალბატონი სოფიკო ჭიაურელის გარდასახვის ნიჭით. როცა ადამიანის დისტანცირება ხდება საზოგადოებისგან, იწყება მარტობა და ეს არის უმთავრესი ამ სპექტაკლში.



ეკა — სოფიკო ჭიაურელი

**რევაზ სირაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი:** დრამატურგმა და რეჟისორმა მიაგნეს საჭირო დღევანდელობას. ჩვენს ცხოვრებაში იკარგება პიროვნება და ეს სახეობა თეატრისა ამკვიდრებს პიროვნებას. აქ არის უბრალო ადამიანების გმირობა თავის უბრალოებაში — მართალია, ფინალში ტრაგიზმია, მაგრამ არის სევდის ღირსეულობა და, საერთოდ, ეს სპექტაკლი სევდიანობის ღირსეულობაზეა.

**საბა მეტრეველი, ფილოლოგიის დოქტორი:** „მარტოობის ბინადრის“ რეჟისურა უაღრესად ფაქიზი და სულისშემძვრელი გადაწყვეტაა დრამატურული ჩანაფიქრისა. სპექტაკლს თავისებურ ხიბლს მატებს ია საკანდელიძის ფსიქოლოგიური და მთავარი გმირის სულის ნიუანსების მომცველი მუსიკალური გაფორმება, ნიკოლოზ შენგელაიას საინტერესო მხატვრობა და კონსტანტინე ფურცელძის ლირიკული ქორეოგრაფიული ნახაზი. ეკას როლი სოფიკო ჭიაურელის სამსახიობო შესაძლებლობებისა და ოსტატობის უმაღლესი დონეა. ეკას აღსარება, მისი მონოლოგი წარსულის პერსპექტივაში წარმოდგენილი მომავალია. იგი ცდილობს, ამაღლდეს საკუთარ თავზე, ებრძვის მარტოობას, ანუ იმას, რაც მის შესაძლებლობებს აღემატება. მარტოობა სოფიკო ჭიაურელის გმირის მდგომარეობა, როგორც დრამატურგი გვეუბნება, იგი მარტოობის ბინადარია და ეს არის ეკას არსებობის უნივერსალური კანონი. სოფიკო ჭიაურელი მეტყველი პლასტიკით, გადამდები ემოციით, არაჩვეულებრივად შუქმფინარი თვალებით, ფსიქოლოგიზმით, შინაგანი რიტმისა და დინამიკის ჰარმონიით ქმნის ისეთ მხატვრულ სახეს, რომელიც გენიალობითაა აღბეჭდილი. სპექტაკლი არის ნოსტალგია სიყვარულზე, სიკეთეზე, მაღალ ადამიანურ ღირსებასა და ურთიერთობებზე. სოფიკო ჭიაურელის გმირის სისუფთავე, მიაძიმება, მიუსაფარობა და სიფაქიზე განცდისა და გარდასახვის თეატრის მწვერვალია.

**ლაპინენ ოსმო, ევროკავშირის განათლების სისტემის კომისიის წევრი. ფინეთის უნივერსიტეტების პრეზიდენტი:** მე ქართული არ მესმის, მაგრამ ყველაფერი გავიგე სოფიკო ჭიაურელის მრავლისმთქმელი პლასტიკით.

# პილონი

ვარიაციები ჯონ სტეინბეკის  
მოთხრობის „ტორტილა ფლეთის“ მიხედვით



რეზო კლდიაშვილის წარმოსახვაში, მისი პიესის გმირი  
პილონი არის ისეთი, როგორსაც ფოტოზე ხედავთ.

„პილონი“ – ასე დაასათაურა რეზო კლდიაშვილმა პიესა, რითაც ჯონ სტეინბეკის „ტორტილა-ფლეტის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი დრამატურგიული ვერსიის ცენტრალურ ფიგურად გამოკვეთა. გამოცდილმა დრამატურგმა შექმნა დამოუკიდებელი სცენური ვერსია, სადაც დილოგურ ფორმაში დინამიკურად, ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკის წინ წამოწევით, სული შთაბერა სტეინბეკის ამაღლებულ მხატვრულ გარემოს. რეზო კლდიაშვილისეული ვარიაციები აღიქმება, როგორც ფსიქოლოგიურ-სატირული ჟანრის დასრულებული სცენური ნაწარმოებები, სადაც შენარჩუნებულია სტეინბეკის აზროვნებისთვის ნიშნეული მისტიკური ქსოვილი, შეზავებული ნატიფი, გამკილავ იუმორთან.

**თეატრმცოდნე ვაჟა ძიგუა**  
**„თეატრი და ცხოვრება“. № 2011**

მონტერეი, კალიფორნია 1939 წელი. მექსიკელი ქურდი და ლოთი პილონი, 11 წლის შემდეგ ბრუნდება იმ ქალაქში, სადაც თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პეროდი გაატარა. დრო გაყინული ეჩვენა, ქალაქის ძველი ქუჩები ჩამსხვრეული ლამპიონებით, დანგრეული უბნებით. მეგობრები გარდაცვლილი დახვდა. პიესის მოქმედება სასაფლაოზე ვითარდება. რეზო კლდიაშვილის პიესა „პილონი“ ეძღვნება პილონის ფიგურას და წარმოადგენს ჯონ სტეინბეკის მოთხრობის მიხედვით შექმნილ ვარიაციებს. პიესაში საინტერესო სახეა კავკასიელი პაისანო ქუთაისელი ჟორჟი, რომელიც თავისი გადასვენებისათვის სამშობლოში ერთ ტომარა განძს იძლევა. ლოთი პილონი ეძებს განძს, რომელსაც ზეციდან სულები მფარველობენ. პიესაში ნაჩვენებია გაძაღლებული ადამიანი – პიხარიტო, რომელიც პილონს ეხმარება განძის და დენის საფლავის პოვნაში. ასე უბრუნდება პილონს რწმენა და მას სჯერა სიკეთის, რომ სიკეთე აუცილებლად გაიმარჯვებს. სპექტაკლი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტურ თეატრ-სტუდიამ წარმოადგინა (რეჟისორი ნუგზარ ბუცხრიკიძე), რომელსაც მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს „სანდკორნ თეატრთან“.

**უტე ეპიგნერი**  
**„ბადიშენ ნოიენ ნახრისტენი“. 2011**

საქართველოდან, წარმოგვიდგინეს ქართველი დრამატურგის რეზო კლდიაშვილის პიესა „პილონი“. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენა ქართულ ენაზე გაიმართა სპექტაკლის ორგინალური გამომსახველობითი საშუალებები არ უქმნიდა დისკომფორტს უცხოელ მაყურებელს და ენობრივი ბარიერი დაძლეული იყო. წარმოდგენამ ორივე დღეს ანშლავით ჩაიარა.

**„კარლსრუეს კურიერი“. 2011**

ჯონ სტეინბეკის მოთხრობა „ტორტილა ფლეტი“ ის წყარო აღმოჩნდა, რომელზე დაყრდნობითაც ქარ-



ავტორისეული ვარიაციები „პილონის“ თემაზე

თველმა დრამატურგმა რეზო კლდიაშვილმა სრულიად ახალი ქართული სამყარო შექმნა. სტეინბეკისეული კალიფორნია კლდიაშვილთან საქართველოთი იცვლება, ხოლო მონტერეი და ტორტილა ფლეტი ქუთაისით და მისი უბანი საფირჩხია გვხვდება. თუ მოთხრობაში მეგობრობა „იშლება“, კლდიაშვილის პიესაში „დაშლილი“ მეგობრობის პერიოდი თამაშდება. რეზო კლდიაშვილის პერსონაჟთა მოქმედების ტრაექტორია შემოსაზღვრულია გარდაცვლილ მეგობრებთან შეხვედრებით. პიესა „პილონი“

ერთი დიდი უცნაურ ზმანებას გავს, რომელიც ერთი კაცის ცხოვრების გადაფასებას, მის ერთგვარ შეჯამება-შეფასებას წარმოადგენს.

**თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი  
„თეატრი და ცხოვრება“, 2012**

## „ზარატუსტრას ჟამი“.



რეზო კლდიაშვილის პიესა „ზარატუსტრას ჟამი“ (რომელიც შეიქმნა ფრიდრიხ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ და ქართველი ინკოგნიტო ავტორების (3+1) „მომავლის რჩეულის“ გადაკვეთაზე) ავტორისეული პირველი წაკითხვა და განხილვა მოხდა პროფესორ მანანა პაიჭაძის ინიციატივით, 2003 წლის 3 ნოემბერს, გოეთეს თბილისის საზოგადოებაში, რომლსაც თავმჯდომარეობდა გერმანისტი, პროფესორი ნოდარ კაკაბაძე.

**რეზო კლდიაშვილი:** იდეა იმისა, რომ „ზარატუსტრას,“ შევჭიდებოდი, დღევანდლობამ, დრომ მიკარნახა, და კიდევ ფაქტმა, რომ შემთხვევით ხელში ჩამივარდა ქართველი ინკოგნიტო ავტორების (3+1) რომანი-ტესტი „მომავლის რჩეული“, რომელშიც ისტორიული ზარიდოშთის გაგებაც იყო მოწოდებული. როგორც ნიცშემ თავის დროზე ზარატუსტრას დაამყნო თავისი შეხედულება, მეც შევეცადე მომავლის რჩეულის სახით მისი აზრები გადმომეცა. ეს ჩანაფიქრი საკმაოდ მკრეხელურად შეიგიძლიათ ჩამითვალთ, მაგრამ ხელოვანი თა-



ვისუფალია და მან თავისი იდეების გასატარებლად ყველაფერი უნდა იღონოს. ჩემი ზარატუსტრა ვერ იტანს სუსტ ადამიანს და პიროვნებას უძლურის. ნიცშეს თავისი წიგნის სათაურის ქვემოთ აქვს ასეთი რეზიუმე – „წიგნი ყველასათვის და არავისთვის“. მე შევეცადე, ჩემი გასაღებით შევსულიყავი ამ სამყაროში. უალრესად პატივს ვცემ ნიცშეს, მის ზარატუსტრას და მინდა ვიყო მათი ცოცხალი თანამგზავრი. დიდი პატივისცემით მინდა მოვიხსენიო ერთკლე ტატიშვილი, რომელმაც ჯერ კიდევ როდის გაბედა ეთარგმნა „ესე იტყოდა ზარატუსტრა“. ამ პიესით მინდა ზარატუსტრას ცეცხლი და შეგონებები მივიტანო ხალხთან და მისი თანამგზავრო გავხადო. აზრის თეატრი მინდა შევთავაზო მაყურებელს.

**ნოდარ კაკაბაძე, გერმანისტი:** რეზო კლდიაშვილის ზარატუსტრა ბრძენი და ამავე დროს ადამიანურია, ხალხში გადის, ესაუბრება მათ. მისთვის უცხო არაა ადამიანური გრძნობები.

**ნატა ჯანელიძე, გერმანისტი:** ჩემთვის უფრო წასაკითხი პიესაა. ბევრი მოქმედი გმირია და ვერ წარმომიდგენია სცენაზე. თუ ღინამიკის ჩარჩოში არ მოექცევა.

**დალი ფანჯაკიძე, გერმანისტი:** მეტი სინათლისათვის და სცენიდან მკაფიოდ რომ წამოვიდეს სიტყვა, სასურველია მონოლოგების შეკვეცა.

**ნანა გოგოლაშვილი, გერმანისტი:** კეთილი სიტყვა, კეთილი საქმე და კეთილიგანწყობა ადამიანების მიმართ. ეს ტრიადა არის ერთ მთლიანობაში. სპექტაკლი იქნება არა მარტო სანახობა, არამედ დატვირთული აზროვნებით და ინტელექტით.

**ჟურნალისტი ნანული ზოტიკაშვილი  
„საქართველოს რესპუბლიკა“, 2003**

ერთი მსახიობის თეატრში „ვერიკო“ შეკრებილ საზოგადოებას არც აპლოდისმეტები დაუშურებია დრამატურგისათვის და არც საკუთარი შეფასებები.

**„პოსტსკრიპტუმი“, 2004**

პირველად ამ სახლში, როცა უკვე კოტე აღარ არის, ავტორი კითხულობს თავის პიესას. სიცოცხლე განაგრძობს ზეიმს – ეს არის ბედნიერება. მე მინდა რეზოს მიუვლოცო დღევანდელი დღე. ყოველთვის მიკვირდა და ახლაც მაკვირვებს რეზოს დაუშრეტელი ენერგია და



მისი მონდომება. რა ჯობია, როცა ადამიანი ცდილობს, ეძებს, კითხულობს, სულიერობით არის დაკავებული. ყველანი რომ ვიყოთ ასე ალტაცებულები, ეს არ ჯობია?!

**მსახიობი სოფიკო ჭიაურელი**  
**„პოსტსკრიპტუმი“, 2004**

რეზო კლდიაშვილმა მოაწყო კითხვა თავისი ახალი პიესისა. მართალი ვითხრათ, მე ეს ნაწარმოები წაკითხული მქონდა. ამ ზაფხულს რეზომ მომცა და გერმანიაში გავცეცანი, რის შემდეგ ტელეფონით ვუთხარი ჩემი აზრი. მე და რეზოს ძველი მეგობრობა გვაკავშირებს, შემიძლია, ვთქვა, რომ მისი ნაწარმოებების ერთ-ერთი პირველი წამკითხავი ვიყავი და ვურჩიე გაეგრძელებინა წერა. მე მაშინ მას, როგორც ახალგაზრდა ქიმიკოსს, ვიცნობდი. დღევანდელი რეზოს პიესა „ზარატუსტრას ჟამი“ იმით არის საინტერესო, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ეთიკური გამოძახილი საზოგადოებრივი აზრისა, ზარატუსტრას სიბრძნითა და სიძველის ენით გახმოვანებული. ამით ავტორმა მარადიული ფასეულობები კიდევ ერთხელ შეასხენა საზოგადოებას. მე მჯერა, გამოქვეყნების შემდეგ, ეს ნაწარმოები საინტერესო ცხოვრებით იცხოვრებს.

**კოტე გაბაშვილი**  
**საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში**  
**„პოსტსკრიპტუმი“, 2004**

„ზარატუსტრას ჟამი“ სპექტაკლია, რომელიც ავტორმა წაიკითხა. ძალიან რთული პრობლემაა. ნიცშეს გაგება ადვილი არ არის, მაგრამ რეზო შეეცადა, ისე მოეწოდებინა, რომ გასაგები ყოფილიყო, კლასიკა ყოველთვის კლასიკაა იმიტომ, რომ ის ყოველთვის თანამედროვე ჟღერადობას ინარჩუნებს და ეს აქ ძალიან იგძნობოდა. დღევანდელ დღეს ისე აღიქმება, როგორც ვთქვათ, მაშინ, როდესაც ნიცშემ ეს თავისი ნაწარმოები დაწერა, როცა ზოროასტრიზმის იდეოლოგია შეიქმნა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო. მე მინდა, რეზოს მივულოცო, რომ მან მოინდომა ამ ძალიან რთული იდეის მოტანა თანამედროვე მაყურებელამდე თუ მკითხველამდე. ზოგი რამ რთული გასაგებია. თუმცა, პიესას უკვე ვხედავ სცენაზე“.

**აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე**  
**„პოსტსკრიპტუმი“ 2004**

თანამედროვე ქართველმა დრამატურგმა, მაღალი ინტელექტის ადამიანმა, რეზო კლდიაშვილმა, რომელიც ქიმიკოს-მეცნიერი გახლავთ, ძალიან საინტერესო და ორგინალური საღამო გვაჩუქა. ორი ნაწარმოების – ნიცშეს „ზარატუსტრა“ და (3+1) „მომავლის რჩეულის“ მიხედვით რეზომ თავისი დრამატურგიისათვის სრულიად ახალი ფორმის მქონე პიესა „ზარატუსტრას ჟამი“ წარმოადგინა. მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილია პიესები კითხვისათვის, ეს თავისებური ჟანრია. ამ პიესის სპექტაკლად განხორციელება ძალიან რთულია. ვფიქრობ, დრამატურგის ეს ახალი პიესა ძალიან დიდ ინტერესს გამოიწვევს არა მარტო ჩვენში, არამედ უცხოეთშიც. რეზომ ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა.

*რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე  
„პოსტსკრიპტუმი“ 2004*

ეს ფორმა, რომელიც რეზო კლდიაშვილმა შემოგვთავაზა, როცა დრამატურგი თავის პიესას თვითონ კითხულობს, სამწუხაროდ, ჩვენში გავრცელებული არ არის. რატომ არ არის ან რატომ მოხდა დღეს? თუ მოვლენას მოვწყვეტთ გარე სინამდვილეს, ვერასოდეს იმას ვერ შევაფასებთ. აბა, ნახეთ, დღეს თეატრში „ვერიკო“ ასი კაცი იყო და როგორ უსმენდნენ, ეს ხომ სანახაობა არ იყო, მიუხედავად იმისა, რეზო ძალიან აქტიურად განასახიერებდა, რაც ხდებოდა პიესაში. დღევანდელი საღამო მაძლევს იმის საფუძველს ვთქვა, რომ ეს წიგნისაკენ მობრუნების ნიშანია. როცა ასეთი საზოგადოება ორი საათის განმავლობაში უსმენს მწერალს, ეს წიგნთან შეხვედრის მაუწყებელია და ეს დღეს ძალიან მნიშვნელოვანია.

*თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე  
„პოსტსკრიპტუმი“. 2004*

„იდეა იმისა, რომ ზარატუსტრას შევკვიდებოდი, დღევანდელიობამ, დრომ მიკარნახა...“ – ამბობს რეზო კლდიაშვილი, პროფესიით ქიმიკოსი, რომელიც დღეს მსახიობის ამპლუაშიც მოგვევლინა და სამეფო უბნის თეატრში თავისი ახალი პიესა „ზარატუსტრას ჟამი“ წარმოგვიდგინა. რეზო კლდიაშვილის პიესის კითხვა აქციად იქცა და, როგორც თვითონ ხსნის, ამ ფორმით

ხალხთან მისვლას ცდილობს. ასეთი წაკითხვა – აქციები უკვე რამდენიმე ადგილას მოეწყო. ასე იყო სამეფო უბნის თეატრშიც, რომლის დარბაზი განსაკუთრებული ინტელიგენტურობით გამოირჩეოდა და პიესის დასრულების შემდეგ მაყურებელს მსჯელობის, გაანალიზების სურვილი გაუღვიძა. ხალხს დაშლა არ უნდოდა, ფეხზე მდგომი განაგრძობდა საუბარს და ცდილობდა, პიესით შექმნილი განწყობა მაქსიმალურად გაეხანგრძლივებინა. მარადიული პრობლემა მარადიული ფორმით – დღეს ასეთი საჭირო, შემამშინებელი და რეალური ჭეშმარიტება. თუ დაფიქრების უნარი მაინც გაქვს, პიესა აუცილებლად დაგაფიქრებს, თუ სული გაქვს, სულში ჩაგახედებს, კითხვებს გაგიჩენს და პასუხსაც გაგცემს, ოღონდ პასუხი მძიმე მოსასმენი, დაუნდობელი, შეუღამაზებელი, ზედმეტად მართალი იქნება. თუ მხდალი ხარ, კიდევ უფრო შეგამშინებს, ღრმა ხარ, კიდევ უფრო ჩაღრმავდები, საცოდავი ხარ, კიდევ უფრო შეგეცოდება შენი თავი, თუ ოპტიმისტი ხარ, მომავლის რწმენა კიდევ უფრო გაგიძლიერდება.

**ჟურნალისტი ქეთევან ივანაშვილი**  
**„24 საათი“, 2004**

იქნებ, არც ისაა შემთხვევითი, რომ ნიცშეს ფილოსოფიურ ნაწარმოებზე დაყრდნობით, სწორედ კავკასიაში, საქართველოში, დროის კარნახით დაიწერა პიესა „ზარატუსტრას ჟამი“ და მისი ავტორი რეზო კლდიაშვილი დღეს ცდილობს, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან ამ პიესის კითხვით, ზარატუსტრას სიბრძნე მსმენელამდე მიიტანოს რათა ნაცრისფერ, უსახურ ბრბოს გამოსტაცოს ადამიანები.

**ჟურნალისტი ნატო გუბელაძე**  
**„პოტსკრიპტში“ 2004**

რეზო კლდიაშვილის პიესა „ზარატუსტრას ჟამი“ – ეს არის შეხება სიძველესთან და მარადიულობასთან. ბატონი რეზოსა და ჩემი თანამშრომლობა არის უდიდესი პასუხისმგებლობა. პიესას უნდა გაეცნონ არა მარტო გერმანიაში, არამედ – ზარატუსტრას სამშობლოში სპარსეთში, დღევანდელ ირანში. ეს განცდა, რომელიც დღეს აქ დამსწრე საზოგადოებას დაეუფლა, საინტერესო იქნება, რომ ზარატუსტრას შთამომავლებმაც გა-

ნიცადონ, თუ როგორ აღიქვამენ დღეს ამ ნაწარმოებს. როგორც კი დავამთავრე თარმეშნა, ინფორმაცია მივეცი გერმანიაში და დიდი ინტერესით ელოდებიან წიგნად გამოცემას, თუმცა ხელნაწერი უკვე მოითხოვეს.

**გერმანისტი, მთარგმნელი თენგიზ ხაჭაპურიძე  
„პოსტსკრიპტუმი“, 2004**

უჩვეულო საღამო გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. დრამატურგი რეზო კლდიაშვილი წარსდგა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების წინაშე. ღელავდა და თვითონაც აღნიშნა. პიესის კითხვა როდესაც დაამთავრა, ძირითადად სტუდენტების დასმულ მრავალ შეკითხვას გასცა პასუხი.

– მომავლის ადამიანში ვის გულისხმობთ? – იკითხა ერთმა ქალიშვილმა.

– შენ გგულისხმობ–უპასუხა ავტორმა იმავე უშვალლობით, რა უშვალობითაც კითხულობდა თავის პიესას.

ერთ-ერთმა სტუდენტმა მადლობა გადაუხადა ავტორს ამ პიესაში მომავლის ადამიანის წარმოჩენისათვის. დავიღალეთ მხოლოდ წარსულის გმირების ამდენი ხოტბა-დიდებით და თხოვა ავტორს, კიდევ ერთხელ წაეკითხა მომავლის ადამიანის მონოლოგი.

**„თბილისის უნივერსიტეტი“, 2004**

საყურადღებო იყო ერთის მხრივ ნიცშეს-ზარატუსტრასადმი მიძღვნილი პიესა და დარბაზის შინაგანი მზაობა. ჩვენთვის ყოველივე ეს საინტერესოა, რადგან ნიცშეს ფილოსოფია პოეტური ფილოსოფიაა თავისი აზროვნების წესით და სიტყვა ხმარებით, სადაც პარადოქსულობას ამართლებს პოეტურობა. ერთმანეთს შეიძლება დაუკავშიროთ ისეთი დაშორებული სახეები, როგორებიცაა აქლემი, ლომი, ბავშვი. კაცობრიობის ტვირთი – აქლემი, ნება – ლომი და მარადიული შემოქმედება – ბავშვი, რომელიც გულისხმობს მარადიულ „უკუმიბრუნებას“. ეს ყოველივე თითქოს ყოველად განყენებული და შორეული რამ, ახლობელი განდა ჩვენთვის.

**ფილოლოგი რეზო სირაძე  
„თბილისის უნივერსიტეტი“, 2004**

მკვეთრად გამოხატული ეროვნული სპეციფიკის მიუხედავად, ქართული დრამატული ხელოვნება ევროპული ტრადიციის მიმდევარი იყო მაინც. თუ პიესების კითხვა ჩვენში ჯერ კიდევ რჩება „ახალ ხილად“, მჯერა, რომ ეს ხილიც მალე „დამწიფდება“ და სცენიდან წამოსული სიტყვის მოსმენის კულტურაც იმავე დონის იქნება, როგორც ზოგადთეატრალური კულტურა. თეატრ „კერიკოში“ შეკრებილი მსმენელ-მაყურებელი ეცნობოდა თანამედროვე ქართველი დრამატურგის, რეზო კლდიაშვილის „ზარატუსტრას ჟამის“ წარდგენას ავტორისეული შესრულებით (კითხვით). ერთს ვისურვებდი-ეს პიესა რომელიმე თეატრის სცენაზე მენახა. სცენაზე, სადაც ყველა თეატრისმიერი კომპონენტის წყალობით ხდება ხოლმე დრამატული ნაწარმოების აკარგის სრული სახით წარმოდგენა. ჟანრის სპეციფიკაა ეს. და ბოლოს, წარმატებული სვლა დაბედებოდეს ახლადშექმნილ პიესას.

**ფილოლოგი რამაზ ჭილაია**  
**„პოსტსკრიპტები“, 2004**

ადამიანს ყველა დროში ჭირდებოდა და დღესაც ჭირდება შეხსენება, რომ ის ადამიანია, ღვთის შექმნილი და ადამიანი ადამიანურად უნდა იქცეოდეს. უნდა იყოს ზნეობრივი, ძლიერი თავისი მაღალი იდეებით და პატიოსნებით და აცოცხლოს ღმერთი თავის სულში. დღეს ისეთი ჟამი დაგვიდგა, რომ ადამიანისათვის ამ ამბანური ჭეშმარიტების შეხსენება აუცილებელია ისე, როგორც არასდროს და არა მარტო სამღვდელო პირთაგან. ჩვენ ყველანი ერთმანეთზე უნდა ვზრუნავდეთ და არ დაუშვათ, რომ რომელიმე ჩვენთაგანმა ღვთიური ცეცხლი ჩააქროს თავის სულში. სწორედ ამის საუკეთესო ნიმუშია ბატონ რეზო კლდიაშვილის პიესა „ზარატუსტრას ჟამი“.

**ფილოლოგი რუსუდან ჭანტურიშვილი**  
**„თბილისის უნივერსიტეტი“, 2004**

თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში დრამატურგს ელოდნენ. ელოდა ეროვნული აკადემიის მთელი კოლექტივი... კარგია როცა გელოდებიან. — „მე ვარ დრამატურგი რეზო კლდიაშვილი, დიდი ხანია თქვენთან მოსვლის სურვილი მქონდა... დღეს თითოეულ თქვენგანში

იმ გმირს ვხედავ, რომელიც ზარატუსტრას თანამგზავ-  
რი იქნება, ვხედავ ქართული ჯარის მომავალს...“ ასე  
დაიწყო დრამატურგმა თავისი საუბარი და მოქმედი  
პირობების დასახელების შემდეგ აჟღერდა ნაწყვეტი რი-  
ხარდ შტრაუსის ქმნილებიდან „ესე იტყოდა ზარატუს-  
ტრა“. ავტორი პიესის კითხვას შეუდგა. დრამატურ-  
გი ამ პიესით მაყურებელს აზრის თეატრს თავაზობს.  
მწერლის სიტყვები სამხედრო აკადემიის მსმენელებს  
თავისებურად ჩაესმათ – „სამყარო ბრძოლის ველია“. პიესის  
კითხვისას ისეთი შეგრძნება მაქვს თითქოს სიბ-  
რძნით სავსე კალათა მიჭირავს და ამ სიბრძნეს ვაფრქ-  
ვევ. 100 კაციდან 5 მაინც თუ აღიქვამს, ეს ჩემი დიდი  
გამარჯვებაა!... ამ კალათით კი გპირდებით მთელ სა-  
ქართველოს მოვივლი, ჩემი „ზარატუსტრას ჟამით“ და  
მომავლის ადამიანების ძებნით საქართველო გადარჩება..

**ჟურნალისტი ნათელა ფაილოძე  
„საქართველოს რესპუბლიკა“, 2004**

ყოველი ახალი პიესა, მით უფრო ისეთი, რომელიც  
წასაკითხად უფროა გამიზნული, ვიდრე დასადგმელად,  
ერთი მოსმენით, რა თქმა უნდა, ვერ გაიგება. რაოდენ  
არტისტულადაც არ უნდა წარმოგვიდგენდეს ბატონი  
რეზო კლდიაშვილი, მაინც ძალზე ძნელია ერთი მოსმე-  
ნით ჩაწვდე ასეთ რთულ და მრავალპლასტიანი პიესის  
როგორც ზემოცანას, ისე მის სტილურ, მეთოდოლო-  
გიურ თუ სხვა თავისებურებებს. ამიტომ ჩემი შთაბეჭ-  
დილებები, ცხადია, ზედაპირულია, თუმცა ის, რომ ჩვენ  
საინტერესო ტექსტთან გვაქვს საქმე, უდავოა. ასევე  
უდავო უნდა იყოს მისი დადგმის შესაძლებლობები.  
ნიცშესეულ ზარატუსტრასათვის ახალი სიცოცხლის  
მინიჭებას, ცხადია, დიდი გამბედაობა სჭირდება და ავ-  
ტორიც გასაოცარი ძალისხმევით ცდილობს ნაცნობი  
პერსონაჟებისა თუ ცნობილი შინაარსისათვის ახალი  
მნიშვნელობის შექმნას, ანუ ახალი კონცეფციის შექმ-  
ნას და, თუ არ ვცდები, იგი ამ მიზანს აღწევს.

ბატონი რეზო კლდიაშვილი თავისთავად სარგებ-  
ლობს ინტელექტუალური დრამისა თუ პოსტმოდერნის  
ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავი-  
სებურებებით, მაგალითად ისეთით, როგორიცაა ცნო-  
ბილი ნაწარმოებების გმირების ხასიათის თუ ძველი  
სიუჟეტების ახალი ინტერპრეტაცია, უცხო ტექსტის

საავტორო ტექსტში შემოტანა, ცნობილი მოვლენების გადათამაშება ახალ სიბრტყეში, სხვადასხვა მიმდინარეობებისთვის დამახასიათებელი და თითქოს ერთმანეთის გამომრიცხავი ფორმებისა თუ სტილური თავისებურებების ისეთი შერწყმა, რომლის შედეგადაც ახალი მხატვრული სინამდვილე წარმოიქმნება.

ვფიქრობ, ბატონი რეზო კლდიაშვილის ეს ახალი დრამატურგიული პიესა წარმატების საწინდარი უნდა გახდეს თეატრალურ სივრცეში გადატანისას, მით უფრო მაშინ, თუ სათანადოდ გაეწევა ანგარიში საავტორო თეატრის მოთხოვნებს. სიამოვნებით ვულოცავ ავტორს ახალი ნაწარმოების შექმნას. ჩვენი ცენტრი კვლავაც გულისყურითა და ინტერესით შეხვდება მის შემგომ ნამუშევრებს.

***თეატრმცოდნე დალი მუშლაძე  
თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის  
სამეცნიერო სექტორის ხელმძღვანელი (2004წ)***

ფორმითა და შინაარსით რთული, ავტორის მიერ ზუსტი აქცენტებით წაკითხული, სახიერი პასაჟებით დამახასიათებელი პიესა, იწვევს სურვილს – ვიხილოთ იგი საინტერესო რეჟისორის განხორციელებით მისთვის შესაბამის სივრცეში.

***თეატრმცოდნე ნატო დევიძე  
თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის  
სამეცნიერო სექტორის წევრი (2004 წ)***



**სპექტაკლ „ზარატუსტრას ფამის“  
თბილისური პრემიერის შემდეგ (2009 წ.)**

ამ რამოდენიმე ხნის წინ წილად მხვდა ბედნიერება „ადამიანის ინსტიტუტის-ნოოსფეროს“ ერთ-ერთ სემინარზე, რომელიც კვირაობით იმართება და რომელსაც ქალბატონი ირინა კალანდაძე ხელმძღვანელობს, მომესმინა ბატონ რეზო კლდიაშვილის პიესა „ზარატუსტრას ჟამი“. პიესას თავად ავტორი კითხულობდა.

დამეთანხმებით, ავტორისეული წაკითხვა აბსოლუტურად განსხვავებულია ნებისმიერი მსახიობის თუნდაც ბრწყინვალე წაკითხვისაგან და ეს გასაგებიცაა, ნაწარმოებში ხომ ავტორის სიცოცხლის, სულის ნაწილია ჩაქსოვილი. ამ ნაწილთან მიახლოება, მისი გაცოცხლება მხოლოდ ავტორს შეუძლია მთელი სისრულით. ამიტომაც გასაგები უნდა იყოს, რომ იმ დღეს მოხიბლული დავრჩი არა მხოლოდ მე, არამედ მთელი დამსწრე საზოგადოება.

პიესა იწყება ზარიდლოშთის მიმართვით აპურამაზდასადმი. მიუხედავად იმისა, რომ „ზარიდლოში“ და „ზარატუსტრა“ ლინგვისტურად ერთი და იგივეა (პირველი ფონეტიკური ვარიანტია მეორესი), ავტორმა ისინი ცალ-ცალკე პიროვნებად წარმოგვიდგინა. ნაცრისფერ, უსახურ ბრბოში ხომ უნდა ყოფილიყო ვინმე, ვინც აპურამაზდასთან, ზოროასტრული პანთეონის უზენაეს ღვთაებასთან საუბარს შეძლებდა და ადამიანებს წარუდგენდა ზარატუსტრას, რომლის სულიერი არსი აპურამაზდამ შექმნა და რომლის ხორცშესხმა იმ მიზნით მოხდა, რომ დახმარებოდა სიკეთეს დედამიწაზე გამარჯვებაში.

სხვათა შორის, არსებობს თვალსაზრისი, რომ ზარატუსტრა რეალური პიროვნება უყო (X-VI ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე), რომლის სახემ სრული მითოლოგიზაცია განიცადა. იგი, როგორც ზოროასტრიზმის ფუძემდებელი, დადიოდა ხალხში და ზოროასტრულ მორალს ქადაგებდა. თითქოს უმარტივესი იყო ამ მორალის არსი, რომელიც ეთიკურ ტრიადას გულისხმობდა: კეთილი აზრი, კეთილი სიტყვა, კეთილი საქმე. მაგრამ ამ მორალის დამკვიდრება არ იყო მარტივი.

და ზარატუსტრაც ქადაგებდა.... ქადაგებდა იმ მიზნით, რომ ქვეყნად გამეფებულ ბოროტებასა და სიკეთეს შორის ბრძოლაში ყველა ადამიანს მიელო მოწოდება ისე, რომ თითოეულს თავისფალი არჩევანი სიკეთის მხარეს ბრძოლა ყოფილიყო.



